(223) 9
ლ-826

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოთა
ლომსაძე

მესხები
და
მესხეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ლომსაძე

ეროვნული ეროვნული

თბილისი
2000 წელი

9(479.22.25)+9(=94.631)
1. მესხეთის ისტორია
2. მესხები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნში მოკლედ არის მიმოხილული სამხრეთ საქართველოს – მესხეთის ისტორია, თურქების მიერ მისი დაპყრობა XVI-XVIII ს-ში. და ამ მხარის ეკონომიკური, კულტურული, ეთნიკური და რელიგიური ყოფა.

წიგნი გათვალისწინებულია საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ლ. ბურჯანაძე
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

გამოცემა განხორციელდა ფონდის
„ღია საზოგადოება - საქართველო“
ფინანსური დახმარებითა და ახალგაზრდული კავშირის
„მესხეთის“ ხელმძღვანელობით.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

К 227.200 3

ესხეთი ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის, ძირითადად მდინარეების: მტკვრისა და ჭოროხის აუზში მდებარე ტერიტორიის კრებითი სახელია. მას ზემო ქართლაც უწოდებენ. ფეოდალური მესხეთი მოიცავდა პროვინციებს: სამცხეს, ჯავახეთს, კოლა-არტაანს, შავშეთს, ერუშეთს, კლარჯეთს, აჭარას, იმერხევს, ტაოს, სპერს. მესხეთის მკვიდრ ქართველს ჰქვია მესხი, იგი ქართული ეთნოსის მთავარი წევრია. მესხეთის საზღვრები ბორჯომის ხეობიდან ერზრუმის მისადგომებამდე და ტაშირ-აბოციდან შავ ზღვამდე იყო გადაჭიმული; იქ ოდითგანვე ქართველები ცხოვრობდნენ. სამხრეთ საქართველოს ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის X-IX სს.-ში დაიწყო ქართველურ ტომთა დიდი გაერთიანების ჩამოყალიბება. ისინი გამოირჩეოდნენ, როგორც ლითონის დამუშავების დიდ ოსტატები. ქართველთა ამ გაერთიანებას ერქვა „დიაოხი". VIII ს-ის შუა წლებში „დიაოხი" ანუ „ტაოხი" გაანადგურა ურარტუს სახელმწიფომ. ურარტუს დაცემის შემდეგ VI-V სს.-ში საქართველოს სამხრეთ პროვინციები დაიპყრო აქემენიდების სამეფომ. ამ სამეფოს მე-19 ოლქში სხვა ქართულ ტომებთან – ტიბარენებთან და მოსინიკებთან ერთად შედიოდნენ „ტაოხებიც" ე.ი. მესხებიც. მესხები მეომარი და გულადი ხალხი იყო. ბერძენმა მწერალმა ქსენოფონტემ აღწერა ბერძენთა ბრძოლა სამხრეთ საქართველოს ტომების დამორჩილებისათვის. ერთგან იგი წერს: - როცა ბერძნები „ტაოხების" (მესხური ტომის) ერთ სოფელს მიადგნენ, მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ისი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი მტრის ხელში ჩავარდნას კლდეზე გადაჩეხვას და სიკვდილს არჩევდნენო.

ჩვ.წ.აღ.-მდე IV ს-ში სამხრეთ საქართველოს ქართულმა ტომებმა სპარსელთა გავლენისაგან თავი დაიხსნეს თუ არა, დაიწყეს ბრძოლა გაერთიანებისათვის. ამ ბრძოლების მეოხებით მცხეთის გარშემო შეიქმნა იბერიის ანუ ქართლის სამეფო. მის შექმნაში მთავარი როლი შეასრულეს მესხურმა ტომებმა, რაც აირეკლა დედაქალაქის – მცხეთის სახელწოდებაში: მსხ → მცხ.

ჩვ.წ.აღ.-მდე III ს-ში იბერიის სამეფო საკმაოდ გაძლიერდა. მან ქართული წარმოშობის სხვადასხვა ტომები შემოიერთა და გაფართოვდა. ამ დროს იბერიის სამეფოს განაგებდა სახელოვანი მეფე ფარნავაზი, რომელსაც მიაწერენ აგრეთვე ქართული ანბანის შემოღებას. შემდგომში ფარნავაზიანთა საქართველოს მრავალ დამპყრობლისა და მოძალადის მოგერიება მოუხდა. ამ ბრძოლაში იწრთობოდა და ყალიბდებოდა ქართველ ტომთა ერთიანი სახელმწიფო.

ახალი წელთაღრიცხვის IV ს-ში 337 წელს მეფე მირიანის დროს იბერია – აღმოსავლეთ საქართველო (მასში შედიოდა მესხეთიც) ოფიციალურად გაქრისტიანდა. ქრისტიანობა იქადაგა წმინდა ნინომ, რომელიც კაბადოკიიდან მესხეთის გზით შემოვიდა ქართლში. ცნობილია, რომ მანამდე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (მესხეთში) ქრისტიანობა არაოფიციალურად ვრცელდებოდა. ქართლის სამეფოს მეშვეობით ქრისტიანობა გავრცელდა დასავლეთ საქართველოშიც. წირვა-ლოცვაში და მწიგნობრობაში ყველგან ქართული ენა გაბატონდა. ნათარგმნ ლიტერატურასთან ერთად გაჩნდა ორიგინალური მწერლობაც. ყოველივე ამან ნიადაგი მოუმზადა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობის, ერთიანი ქართველი ხალხის შექმნას.

V ს-ში მეფე ვახტანგ გორგასალმა თითქმის მთელი საქართველო გააერთიანა და ქართლში მთავარეპისკოპოსის ნაცვლად კათალიკოსი დასვა. ამასთან, საქართველოს ყოველ მხარეში იქნა დაარსებული საეპისკოპოსოები. მესხეთში ასეთი საეპისკოპოსოები დადგინდა არტანუჯსა, ოცხესა და

წუნდაში, რაც ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალობის მომასწავებელი იყო. ეკლესიის დამოუკიდებლობამ ხელი შეუწყო ორიგინალური ქართული მწერლობის განვითარებას. ამიერიდან მწერლობა ემსახურებოდა არა მარტო რელიგიურ და სახელმწიფოებრივ საქმეს, არამედ კერძო, სამოქალაქო საქმის წარმოებასაც. მაგალითად: სამცხის სოფელ წყისეში (ახალციხის მახლობლად) ნაპოვნია VI ს-ის ბოლო წლების ქართულწარწერიანი ქვაჯვარი, რომლის პოსტამენტზეც ვინმე კონსტანტი გვაუწყებს, რომ მიწა, სადაც ეს ქვაჯვარი იყო აღმართული, წარმოადგენდა ნაყიდ მამულს. VI ს-ის 20-იან წლებში, მეფე ვახტანგ გორგასალის სიკვდილის შემდეგ სპარსელები კვლავ შემოესივნენ საქართველოს. ქართლში მეფობა გააუქმეს და მის ნაცვლად სპარსელი „მარზპანი" დასვეს.

VI ს-ის ბოლოს სპარსელები განდევნეს ქართლიდან. ქართლში ერისმთავრობა აღადგინეს.

VII ს-ის დასაწყისში საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ქონდა არაბული ტომების ამოძრავებას და მუჰამედის მეთაურობით ერთიანი არაბული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, რასაც მოყვა ახალი იდეოლოგიის ე.წ. „ისლამის" გავრცელება. ისლამის მიმდევარს „მუსლიმი" (მინდობილი) ჰქვია. „მუსლიმი" აგრეთვე მუჰამედის (მაჰმადის) იდეების მიმდევრად ანუ მაჰმადიანადაც ითვლებოდა. მუჰამედის ქადაგებანი თავმოყრილ იქნა ცალკე წიგნში, რომელსაც „საკითხავი წიგნი" ანუ „ყურანი" ერქვა. შემდეგ არაბული სახელმწიფოს მეთაურებმა მუჰამედის მოადგილეობა დაიმკვიდრეს და თავიანთი პოლიტიკა დაპყრობითი ომებისაკენ მიმართეს.

VII ს-ის 50-იან წლებში არაბებმა ჯერ სომხეთი დაიპყრეს, მერე კი – საქართველო. ქართლში ერისმთავრობა გააუქმეს და დაპყრობილი ქვეყნები დახარკეს. ქართველი ხალხი მტერს არ მორჩილდებოდა და აჯანყებებს აწყობდა. აჯანყებულებს არაბები სასტიკად სჯიდნენ. განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა არაბი სარდლის მურვანის დამსჯელ ექსპედიციებს 736 წელს. შეუბრალებლობისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულქვაობის გამო ხალხმა მურვანს ყრუ უწოდა. მურვან ყრუს ურდოებმა განსაკუთრებით გააუკაცრიელეს მესხეთი. ამას დაერთო 746-747 წწ. საბერძნეთიდან შემოჭრილი ეპიდემია – „შავი ჭირი“ (ქოლერა), რომელმაც მოსახლეობას საბოლოოდ გაავლო მუსრი. VIII ს-ის ბოლოს, როცა გრიგოლ ხანძთელი მოვიდა, მას მხოლოდ აქა-იქ ტყეს შეფარებული მოსახლეობა დახვდა, ხოლო მოქმედი მონასტრებიდან მარტო ოპიზის მონასტერი იყო შემორჩენილი.

VIII ს-ში ამოწყვეტილი მხარე ხელახლა დაასახლეს ქართლიდან გადმოსულმა მოახალშენეებმა. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქვეყანაში VIII ს-ის მეორე ნახევრიდან ერთი მეორის მიყოლებით იქმნებოდა ფეოდალური სამთავროები (კახეთში, ქართლში, დასავლეთ საქართველოში ე.წ. აფხაზეთის სამთავრო, მესხეთში ე.წ. „ტაო-კლარჯეთის“ სამთავრო ანუ „ქართველთა სამეფო“).

„ტაო-კლარჯეთის“ სამთავრო ეწოდა მესხეთს მისი ორი უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის პროვინციების – ტაოსა და კლარჯეთის სახელწოდების მიხედვით. მისი დამაარსებელი იყო აშოტ ბაგრატიონი, რომელიც ვერ შეეგუა თბილისში არაბებს და ოჯახით გადასახლდა კლარჯეთს, ჭოროხის ხეობაში, რომელიც მაშინ ბიზანტიის მფლობელობაში იყო. მესხეთში გადასულმა აშოტმა ბიზანტიის კეისრის ტიტული „კურაპალატობა“ მიიღო, ძველ ციხე-ქალაქ არტანუჯში დაჯდა და სამთავროს ორგანიზაციას შეუდგა. ტაო-კლარჯეთის სამთავრო თანდათან გაიზარდა და გაძლიერდა. მის ქონებრივ შეძლებასა და კულტურულ დაწინაურებაზე მეტყველებს იმ დროს იქ გაშენებული არქიტექტურის ისეთი ბრწყინვალე ქმნილებანი, როგორიცაა: ოშკის, იშხანის, ხახულის, ბანას დიდებული ტაძრები. წინაურდებოდა მეურნეობის ყველა დარგი, იზრდებოდა სავაჭრო ურთიერთობები მახლობელ სამთავროებთან და შორეულ ქვეყნებთანაც. სამთავროს წინსვლა სულ უფრო ცხადს ხდიდა, რომ საჭირო იყო დანაწევრებული ქართული სამთავროების გაერთიანება და ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. აღსანიშნავია, რომ X ს-ში ტაო-კლარჯეთის სამთავრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ სამთავროებს შორის ყველაზე დიდი და ძლიერი იყო. მისი საზღვარი სამხრეთით არაქსის ზემო ხეობამდე აღწევდა, X ს-ის ბოლოს კი ამ საზღვარმა ვანის ტბამდე და ერზინჯანამდე მიაღწია.

მესხეთის მთავარი დავით დიდი კურაპალატი იმდენად გაძლიერდა, რომ 979 წ. მას დახმარება სთხოვა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილმა, რომელსაც თავისი სარდალი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა; დავითმა კეისრის დასახმარებლად 12.000 მესხი ცხენოსანი გაგზავნა, რომელსაც სათავეში ედგა უკვე მოხუცი, მაგრამ ბრძოლებში გამოცდილი სარდალი თორნიკე ერისთავი. საინტერესოა, რომ თორნიკე ერისთავის პირდაპირი და გამაჰმადიანებული შთამომავალნი ბოლო დრომდე ცხოვრობდნენ სამცხის სოფ. ადიგენში და ამავე გვარს ატარებდნენ. თორნიკე ერისთავმა ბარდა სკლიაროსი გაანადგურა და იმპერატორს თავისი სამფლობელო დაუბრუნა. ამ დახმარებისათვის იმპერატორმა დავით დიდს საჩუქრად მიწაწყალი უბოძა. ამავე დროს დავით კურაპალატმა ირანის აზერბაიჯანის ამირა დაამარცხა და თავისი გავლენა გაავრცელა საქართველოს სხვა სამეფო სამთავროებზეც. მან მოინდომა საქართველოს გაერთიანება, ამ საქმეში დავითს ეხმარებოდა ქართლის ერისთავი იოანე მარუშის ძე. მალე დავითმა თავისი შვილობილი ბაგრატი მეფედ დასვა ჯერ ქართლში, შემდეგ კი აფხაზეთში. დიდ აზნაურთა წინააღმდეგობა ბაგრატმა მალე დაძლია და ქართლისა და აფხაზეთის მართვას შეუდგა, ხოლო შემდეგ, 1008 წელს, როცა ბაგრატის მამა გურგენი გარდაიცვალა, მისი საგამგეო შავშეთ-კლარჯეთისა და სამცხე-ჯავახეთის ქვეყნებიც ბაგრატმა დაიკავა. ორი წლის შემდეგ 1010 წელს ბაგრატმა შემოიერთა კახეთ-ჰერეთიც. ბოლოს ჯერი მიდგა მესხეთის სამხრეთ პროვინციებზე – ტაოსა და კლარჯეთზე, სადაც მისი ნათესავები მთავრობას ძველებურად ლამობდნენ, მათი შეხედულებით სამთავრო შეადგენდა მათივე დინასტიის (ბაგრატიონების) საერთო-საგვარეულო კერძო საკუთრებას. ეს შეხედულება ქვეყნის ცენტრალიზაციის პრინციპს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ ბაგრატ III-მ 1011-12 წწ. მათი ცალკეუ-

ლი საფეოდალოებიც გააუქმა და ისინიც საქართველოს ერთიან პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართო. ამიერიდან მხოლოდ თბილისისა და ქვემო ქართლის მიდამოები რჩებოდა არაბი ემირის გამგებლობაში.

საქართველოს გაერთიანებული მხარეების შეკავშირებას ისიც უწყობდა ხელს რომ მათ ერთიანი სახელმწიფო, სამწიგნობარო და საეკლესიო ენა ჰქონდათ. ქართული ლიტერატურული ენისა და საერთოდ ქართული მწერლობის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა მესხეთმა. აქ ჯერ კიდევ IX-X სს. შეიქმნა ისეთი შესანიშნავი თხზულება, როგორიცაა ბასილ ზარზმელის მიერ დაწერილი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“. ეს თხზულება დიდმნიშვნელოვანი ისტორიული წყაროცაა. დაწერილია X ს-ის პირველ მეოთხედში. მისი ავტორი ბასილი იყო სერაპიონის უფროსი ძმის შვილი. ნაწარმოებში გადაშლილია იმდროინდელი სამცხის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების საინტერესო სურათი.

საერთოდ, სამხრეთ საქართველოს მონასტრებმა უდიდესი როლი ითამაშეს ქართული მწერლობის ისტორიაში. აქ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდა მძლავრი ლიტერატურული სკოლა, რომელმაც საკუთარი მიმართულება შეიმუშავა და იმდენად გაიზარდა, რომ გადალახა ეროვნული საზღვრები და მცირე აზიის სხვადასხვა ადგილზე შექმნა საქართველოს კულტურული ცენტრები (სირია, პალესტინა, ათონი და სხვა).

XI ს-ის პირველ მეოთხედში მესხეთს მოსვენება დაუკარგა ბიზანტიის კეისრის – ბასილის შემოსევებმა. ბასილი ტაოს, კოლა-არტაანისა და ჯავახეთის მისთვის გადაცემას მოითხოვდა. ბიზანტიასთან ბრძოლამ მთელი საქართველო და განსაკუთრებით მისი სამხრეთი პროვინციები დიდად დააზიანა და დაასუსტა.

1065 წ. ბერძნებთან ბრძოლაში დაღლილ საქართველოს ოგუზთა მოდგმის, თურქული ტომების – სელჯუქთა საგვარეულოს მეთაური ალფარსლანი შემოესია. სელჯუქებმა ახალქალაქი აიღეს, დიდძალი ხალხი დახოცეს, მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობა აყარეს და შორეულ ირანში გადაასახლეს, დაახლოებით 40.000 სული. გადასახლებულები თავიანთ ფეოდალებთან ერთად დაასახლეს ირანის აზერბაიჯანის სამხრეთ ახარისა და ვარავიის პროვინციებში.

XI ს-ის შუა წლებიდან ახლო აღმოსავლეთში იწყება თურქების გაძლიერება. მათ დაიპყრეს ბიზანტიის მფლობელობაში მყოფი აღმოსავლეთის ქვეყნები. 80-იან წლებში ყარსის აღების შემდეგ უშუალოდ გაუმეზობლდნენ საქართველოს და მისი განაპირა თემების რბევა დაიწყეს. თურქთა ამ შემოსევების დროს დიდძალი ხალხი ამოწყდა. ყველაზე უფრო მესხეთი დაზიანდა. ბრძოლებში დამარცხებული მეფე გიორგი II იძულებული გახდა სულთანისათვის ყოველწლიური ხარკი ეძლია. სწორედ ამ დროს (1088 წ.) მესხეთში დაიწყო ძლიერი მიწისძვრები, დაიქცა თმოგვის ციხე, დაინგრა სოფლები. 1089 წ. გიორგი II მეფობიდან გადადგა. ტახტზე ავიდა მისი 16 წლის შვილი დავით აღმაშენებელი. იგი გამჭრიახი გონებისა და ძლიერი ნებისყოფის მმართველი გამოდგა. დავითი იყო უაღრესად განათლებული პიროვნება და დიდი სამხედრო სტრატეგი. არაბი ისტორიკოსის თქმით იგი კარგად იცნობდა თვით ისლამს, ისე რომ თავისუფლად კამათობდა ყურანის წარმოშობის საკითხებზე. ახალგაზრდა დავით მეფემ ქვეყანაში ჯერ შინაური საქმეები მოაგვარა, ჩაატარა მთელი რიგი რეფორმებისა და შემდეგ შეუდგა საქართველოს ტერიტორიის გაწმენდას თურქ-სელჯუკებისაგან. თურქებმა დავითის წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობა მოაწყეს.

1121 წ. 12 აგვისტოს ქ. მანგლისის ახლოს დიდგორის ველზე გამართულ ბრძოლაში დავით მეფემ გაცილებით უფრო მცირე ლაშქრით წარმატებით დაამარცხა მაჰმადიანთა უზარმაზარი ჯარი. 1123 წ. დავითი მესხეთში ავიდა და იქიდანაც განდევნა თურქი დამპყრობლები. ამ ბრძოლების შედეგად დავით აღმაშენებელმა მთელი საქართველო გააერთიანა. მან თურქები გააძევა აგრეთვე შირვანიდან და სომხეთიდან. საქართველო გადაიქცა ახლო აღმოსავლეთის ერთერთ ძლიერ სახელმწიფოდ. საქართველომ თავისი ძლიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მწვერვალს მიაღწია. XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისში თამარ მეფის დროს. თამარის მეფობის ორი ათეული წლის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ ბევრი დიდი და წვრილი ომი გადაიხადა, რის შედეგადაც გაიწმინდა საქართველოც და მისი მეზობელი მხარეებიც უფრო დაბალი კულტურის მქონე თურქი დამპყრობლებისაგან. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშეს საზღვრისპირა (მონაპირე) რეგიონებმა, მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მესხეთი და მისი მოსახლეობა. აქ იყვნენ



ოშკი

იმ დროის ისეთი გამოჩენილი და სახელოვანი სარდლები, როგორიც არიან ძმები შალვა და ივანე ახალციხელები და სხვა. XIII ს-ის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა ყველა მის მეზობელ მხარეებზე: მთელს ჩრდილოეთ კავკასიაზე, ამიერკავკასიაზე, ირანის ადარბადაგანზე, სომხეთზე, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე, რომელთაგან ნაწილი შემოიერთა საქართველომ, ნაწილი კი ვასალად აქცია.

ქვეყნის თანდათან დამშვიდებამ, სამეურნეო და სახელმწიფოებრივმა სიძლიერემ მკვიდრი საფუძველი შეუქმნა ძველი ქართული, ფეოდალური კულტურის შემდგომ გაძლიერებასა და გაფურჩქვნას. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით მესხეთმა კულტურისა და მეცნიერების სარბიელზეც განსაკუთრებით ისახელა თავი. შესამჩნევად დაწინაურდა საისტორიო მწერლობა (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარის სამი ისტორიკოსი), მაღალ დონეზე ავიდა ქართული ფილოსოფიური აზროვნება (იოანე პეტრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წი, არსენ იყალთოელი, ეფრემ მცირე), კიდევ უფრო განვითარდა და გაღრმავდა მრავალფეროვანი ხმიერი და საკრავიანი ქართული მუსიკა, გაჩნდნენ დროის შესაფერისი კომპოზიტორები, შეიქმნა საგალობელთა კრებულები (მიქელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული ქართული სანოტო ნიშნებითა და ორიგინალური ტექსტებით). გაიზარდა და განვითარდა საერო მწერლობა (სარგის თმოგველი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე), დაწინაურდა იმდროინდელი ხუროთმოძღვრება (ამის მაგალითად მარტო ვარძიაც იკმარებდა), მხატვრობა, ჭედური ხელოვნება, მინანქარი (ბექა და ბეშქენ ოპიზარები, ვარძიისა და ყინწვისის ფრესკათა მომხატველები) და სხვა. ამ პერიოდის ქართული აზროვნების უმაღლესი გამოვლენა და შეჯამება მაინც მწერლობაში მოხდა, რადგან სწორედ მაშინ შეიქმნა მსოფლიო ლიტერატურის ისეთი შედევრი, როგორიცაა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

საქართველომ, რომელმაც უცხოური კულტურის ორი ნაკადის – როგორც დასავლურ-ქრისტიანულის, ისე აღმოსავლურ-მუსლიმანურის გაცნობა და შეთვისება შეძლო, პროგრესული ნაბიჯით წავიდა წინ. ამ სინთეზმა და ადგილზე შექმნილმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში, მეცნიერებაში, მწერლობაში, ხელოვნების სხვადასხვა დარგში გამოავლინა მანამდე უცნობი ყველა ის ნიშანთვისება, რომელიც რამოდენიმე საუკუნის შემდეგ ევროპაში საფუძვლად დაედო ე.წ. „რენესანსს“.

XIII ს-ის 30-იან წლებში საქართველოს მონღოლთა ურდოები შეესივნენ. ახალი გარდაქმნების მოლოდინში ქვეყანა შემოსეულ მტერს მოუმზადებელი დახვდა. ჯარის დაბნეული მხედართმთავრები და ერისთავები თავიანთ საგანმგეობებში ჩაიკეტნენ და იქიდან თვითნებურად აწარმოებდნენ მონღოლებთან მოლაპარაკებას. ერთადერთი, სამცხის მთავარი ივანე ჯაყელი-ციხისჯვარელი იყო, რომელიც მონღოლებს არ დანებდა და ბრძოლა გაუმართა. ეს პატარა თემი შემოსეულ მტერს ებრძოდა მანამდე, სანამ არ მიიღო მეფის ნებართვა მოლაპარაკების დაწყებაზე.

მონღოლთა შემოსევამ ქვეყანას ბუნებრივი განვითარე-

ბის გზიდან გადაახვევინა და დიდი ხნით შეაჩერა მისი წინ-ვლა. დაპყრობილი საქართველო მტერმა დუმნებად დაყო. მესხეთის პროვინციები V და VI დუმნაში გაერთიანდნენ. ქვეყნის მძიმე მდგომარეობამ მალე საქართველოს თავკაცებში აჯანყების აზრი დაბადა. შეთქმულნი მესხეთში „კოხტასთავს“ შეიკრიბნენ (ასპინძის რაიონის სოფ. ოშორასთან), მაგრამ მათი მოქმედება მტერმა შეიტყო და ყველანი შეიპყრო. აჯანყებები კი არ წყდებოდა. აღსანიშნავია, რომ მესხეთი მონღოლ-თათართა წინააღმდეგ ბრძოლის ტონის მიმცემი და აქტიური მონაწილე იყო. 1266 წ. მონღოლ ყაენებმა გადაწყვიტეს საქართველოს თავისუფლებისათვის ეს აქტიური მებრძოლი მხარე – მესხეთი საქართველოსათვის ჩამოეცილებინათ, ყაენის საკუთარ ქონებათა უწყებაში ჩაერიცხათ - „ხასინჯად“ ექციათ და ამ გზით დაექსაქსათ ქვეყნის ერთიანი ძალები. მაგრამ მალე გაირკვა, რომ „ხასინჯად“ ყოფნის მიუხედავად მესხეთის ერისთავები კავშირურთიერთობას არ წყვეტდნენ საქართველოს სხვა სამფლობელოებთან. ხოლო თვითონ საქართველოს სამეფო კარის ტიტულებს - სპასალარობასა და მანდატურთუხუცესობას არ იცილებდნენ და დიდის პატივით ატარებდნენ.

XIV ს-ის დასაწყისში, როცა რუმის თურქებმა საქართველოს უკიდურესი სამხრეთი პროვინციის – ტაოს დარბევა დაიწყეს, მესხეთის მთავარმა ბექა ჯაყელმა მანდატურთუხუცესმა, მესხთა ლაშქართან ერთად მეზობელ ქართულ სამფლობელოთა ლაშქარიც იხმო და შეკრებილთ ბრძოლის წინ ასე მიმართა: „ძმებო ქართველებო! ჩვენში ადრე შემოჭრილ თურქთა ძლიერება მეფე დავით აღმაშენებელმა დაამხო. ახლა მათ ჩვენი დაქსაქსვით ისარგებლეს, კვლავ შემოიჭრნენ და ტაოს მხარეს გვიოხრებენ. მეომარნო, ტაო მარტო ჩვენი როდია, ის მთელი საქართველოსია და მას მტერს ვერ დავანებებთ. წინ! ან სიკვდილი ან გამარჯვება!“ მოხერხებული სამხედრო გეგმის წყალობით აღფრთოვანებულმა მეომრებმა შემოსეული მტერი დაამარცხეს, განდევნეს და დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ.

XVI ს-ის მეორე მეოთხედში შექმნილი სიტუაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალობით საქართველომ შეძლო მონღოლთა უღლის გადაგდება და კვლავ გაერთიანება. განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში ედგა ახალგაზრდა მეფე გიორგი V, ბრწყინვალედ წოდებული. აღსანიშნავია, რომ იგი ბავშვობაში თავის პაპასთან (დედის მხრივ), სამცხის სპასალარ ბექა ჯაყელთან მესხეთში იზრდებოდა და როგორც ჩანს, აქვე ითვისებდა საქართველოს ერთიანობის იდეას. მისი წყალობით XIV ს.-ის პირველ ნახევარში საქართველომ შეძლო როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეების მოგვარება და საერთაშორისო ავტორიტეტის აღდგენა. ქვეყანა დამშვიდდა, მაგრამ ეს დამშვიდება ხანმოკლე გამოდგა. XIV ს.-ის მიწურულსა და XV ს.-ის დასაწყისში საქართველოს ახალი მტერი მოევლინა; ეს იყო ადრე შუა აზიაში მოთარეშე რაზმის მეთაური თემურ ლენგი, რომელსაც უკვე ახალ-ახალი ქვეყნები დაეპყრო და ირანის გზით საქართველოშიც მოვიდა. თემურ ლენგმა 1386 წლიდან 1404 წლამდე 8 სისხლისმღვრელი შემოსევა განახორციელა საქართველოში. ჩვენი ერის ისტორიაში ეს იყო ყველაზე მძიმე პერიოდი, რადგან თემურ ლენგი პოლიტიკურ ომთან ერთად აწარმოებდა ეკონომიურ ომსაც – სპობდა დაპყრობილ ხალხს და საფუძვლიანად ანადგურებდა მის მეურნეობასაც. აღსანიშნავია, რომ ამ შემოსევების მერე ჩვენმა ქვეყანამ მიყენებული ჭრილობების მოშუშება დიდხანს ვერ შეძლო. მისი შემოსევების სიმძიმე საქართველოს კუთხეებიდან ყველაზე მეტად დააჩნდა ქართლსა და მესხეთს. მესხეთისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო თემურ ლენგის პირველი სამი და მეხუთე შემოსევა, რომლის დროსაც საშინლად აოხრდა ჯავახეთი, კოლა-არტაანი, სამცხე და ტაო. ამ შემოსევების შედეგად საქართველოში მთლიანად გაუდაბურდა 700-ზე მეტი სოფელი. მათი აღდგენა და მოშენება XV-XVI ს.ს.-ში თურქმანულ ტომებთან გამუდმებული ომების გამო ვეღარ ხერხდებოდა.

მოსახლეობის შემცირებამ და ქვეყნის ეკონომიკურად დაუძლურებამ საქართველოს სამეფო ხელისუფლება შესამჩნევად დაასუსტა. სამაგიეროდ, გაძლიერდნენ დიდგვაროვანი აზნაურები, რასაც მოყვა ერთიანი საქართველოს დაშლა

წვრილ სამეფო-სამთავროებად. ასე წარმოიშვა XV-XVI საუკუ-ნეებში ცალკ-ცალკე: ქართლის, იმერეთის, კახეთის სამეფოები და მესხეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიის სამთავროები. მესხეთის სამთავრო, რომელიც თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით საქართველოს ერთ მესამედზე მეტს უდრიდა, ისტორიაში მოიხსენიება როგორც სამცხე-საათაბაგო. სამცხე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მესხეთის ერთი პროვინციაა და უდრის დღევანდელ ადიგენის, ახალციხისა და ნაწილობრივ ასპინძის რაიონებს. სამცხის გამგებლებს საქართველოს სამეფოს კარზე ადრევე ჰქონდათ მოპოვებული ათაბაგის პატივი (ხელი).

ათაბაგი აღმოსავლური მმართველობიდან აღებული სამოხელეო ტერმინია, რომელიც ისევე როგორც ვეზირი, ჩვენში თამარ მეფის დროს იქნა შემოღებული. სამცხის გამგებლობასთან ამ „პატივის“ შეერთებამ და მათი ძალაუფლების გავრცელებამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზე წარმოშვა ახალი პოლიტიკური ტერმინი „სამცხე-საათაბაგო“, რომლის ქვეშ იგულისხმებოდა მთელი მესხეთი.

XV ს.-ში საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის მოშლა დაემთხვა სამხრეთ-დასავლეთით ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერებას, ხოლო აღმოსავლეთით სეფიანთა ირანის სახელმწიფოს წარმოქმნას.

1453 წ. ოსმალებმა დაიპყრეს კონსტანტინოპოლი, რამაც დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქრისტიანთა შეშფოთება გამოიწვია. 1461 წ. ამას მოყვა ტრაპეზონის საკეისროს დაპყრობა და იქ თურქული საფაშოს დაარსება. ამიერიდან თურქები უშუალოდ გაუმეზობლდნენ საქართველოს. XV ს.-ში საქართველომ დაკარგა გარშემო ქვეყნები: სომხეთი, შირვანი, ლაზეთი. XVI ს-ის დასაწყისში ოსმალები დაღესტანში შეიჭრნენ და მისი დაპყრობა-გადაბირებით საქართველოს ჩრდილოეთიდან გზა მოუჭრეს. XVI ს-ში საქართველოს გარშემო მტრული გარემოცვის რკალი შეიკრა.

თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებით ქრისტიანული სამყარო ორად ითიშებოდა. კავკასიას ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის საშუალება ერთმეოდა. საჭირო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყო მტრული გარემოცვის გარღვევა. დაშლილმა საქართველომ შინაგანი ძალებით ამ გარემოცვიდან გამოსვლა ვერ შეძლო. XV ს.-ის ქართველ პოლიტიკოსებს სწამდათ, რომ თურქული გარემოცვის გარღვევა შეიძლებოდა მხოლოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან სამხედრო კავშირის შეკვრით. ამიტომაცაა, რომ ასეთი კოალიციის შექმნის ინიციატორებად ხშირად ქართველი სამეფო-სამთავროები გამოდიოდნენ. აქტიურობდა სამცხე-საათაბაგოს (მესხეთის) სამთავროც, რომელიც საბოლოოდ XV ს.-ში ჩამოყალიბდა. როგორც უკვე ვთქვით, მისი საზღვრები ტაშისკარიდან არზრუმს წვდებოდა და ტაშირაბოციდან შავ ზღვას. XVს-ის დამლევს სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია შეადგენდა 34.230 კვ. კმ.-ს საკმაოდ მომრავლებული მოსახლეობითა და განვითარებული ფეოდალური მეურნეობით.

სამცხე-საათაბაგო, როგორც ოსმალეთს გამეზობლებული განაპირა მხარე, XV ს.-დან კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ნებით თუ უნებლიეთ იგი ყოველთვის ოსმალთა წინააღმდეგ სამხედრო კოალიციის შექმნის აქტიურ მონაწილედ გამოდიოდა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფო მესვეურთა წრეებშიც, რომელნიც არა ნაკლებ იყვნენ დაინტერესებულნი აღმოსავლეთის ქრისტიანთა საკითხით, ამ დროს წარმოიშვა აზრი, რომ თურქთა წინააღმდეგ მოწყობილიყო ჯვაროსნული კოალიციური ლაშქრობა, რომლის ინიციატორად და ორგანიზატორად გამოვიდოდა რომის პაპი. ეს აზრი იმდენად მომწიფდა, რომ 1459 წ. პაპის ელჩი საქართველოსაც ეწვია ქართულ სამეფო-სამთავროთა კოალიციაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით. ახლა მოვუსმინოთ სამცხე-საათაბაგოს (მესხეთის) მთავარს – ყვარყვარე ჯაყელს (1418-1498), თუ როგორ მიდიოდა მზადება მომავალი ბრძოლებისათვის. 1459 წ.-ის ნოემბერში ყვარყვარემ ახალციხიდან თავისი ელჩი – ფარსადანი გაგზავნა ბურგუნდიის მთავართან, რომელსაც სწერდა: „ვერაგი თურქები ჩვენი საზღვრის სიახლოვეს გამოჩნდნენ თუ არა, მაშინვე შევურიგდი ყველა ჩემ მეზობელ ქრისტიან მთავარს და გადავწყვიტე მთელი ჩემი ძალა და შეძლება ოსმალების წინააღმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ მივმართო. კავშირი შევკარით მე, გიორგი მეფემ (ქართლის მეფე), ბაგრატ მეფემ (იმერეთის მეფე), დავით ტრაპიზონის იმპერატორმა, სამეგრელოს მთავარმა, აფხაზეთის მთავარმა, მცირე სომხეთის ბატონმა და სხვებმა"-ო. როგორც ჩანს მოკავშირენი სამზადისს მართლაც შედგომიან. აქვე აღნიშნულია, რომ მესხეთიდან ამ ომში უნდა გამოსულიყო 20.000 მხედარი, მთლიანად საქართველოდან კი – 120.000 კაცი. ყვარყვარე ათაბაგი დასავლეთელებს არწმუნებდა, რომ „თუ ოსმალებს ორ ჯარს შუა მოვაქცევთ, ერთი ზაფხულის განმავლობაში დავიპყრობთ ანატოლიას და ყველა ქვეყნებს, რომელიც ოსმალოს ამ მხარეს უჭირავსო". კოალიციის მიზანი იყო ოსმალეთის დამარცხება, კონსტანტინოპოლის გათავისუფლება, ჩაკეტილი შავი ზღვის გახსნა და შემდგომში ოსმალური საფრთხის აღკვეთა.

ყვარყვარე ათაბაგი შესანიშნავად გრძნობდა ოსმალეთის მზარდ სამხედრო ძლიერებას, შეუცდომელი დიპლომატის თვალით ჭვრეტდა მისი განვითარების ინერციას და აქედან გამომდინარე მომავალ საშიშროებასაც ნათლად ხედავდა: „უწყოდეთ კარგად – აფრთხილებდა ის ბურგუნდიის მთავარს – რომ, თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, მერე გულითაც რომ მოინდომოთ ვერაფერს გააწყობთ, რადგან ურჯულო ოსმალეთი ყოველდღე ძლიერდება და შემდეგ, ჩვენ ვეღარ შევძლებთ ასეთ შეერთებას, როგორც დღეს"-ო. ამ გაფრთხილების მიუხედავად საქართველოს მეფე-მთავართა მისია უშედეგოდ დამთავრდა. კოალიციური ლაშქრობის მოწყობა დასავლეთელთა მიზეზით ჩაიშალა. საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება უფრო გართულდა.

დროებით შერიგებული, მაგრამ ერთიანობის ეკონომიკურ საფუძველგამოცლილი საქართველოს მეფე-მთავრები ისევ აიშალნენ და საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ერთიმეორესაგან დამოუკიდებელ რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად. საქართველოს გამეზობლებული თურქეთი კი სულ უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა. მისი საზღვრები XVI ს-ში ტრაპიზონიდან ადრიატიკის ზღვასა და მდინარე დონის შესართავიდან და ყირიმიდან ხმელთაშუა ზღვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწვდებოდა. რაც შეეხება შავი ზღვის აუზს, მას მთლიანად ოსმალები აკონტროლებდნენ.

1529 წ. როცა თურქები ალყაშემორტყმული ვენის კედლებთან დამარცხდნენ და დასავლეთში მათი წინსვლა შეჩერდა, მათ თავისი პოლიტიკური აქციები აღმოსავლეთით გადმოიტანეს, სადაც ოსმალეთის ინტერესები შეეჯახა ირანის სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესებს. ამას მოყვა ირან-ოსმალეთის ომის დაწყება მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებისათვის. ამიერკავკასია ომების ასპარეზად გადაიქცა.

XVI ს-ის პირველ ნახევრიდან ოსმალები აწარმოებენ შეტევებს სომხეთის წინააღმდეგ. 1534 წ. ზედიზედ იპყრობენ ვანს, ავნიკს, არზრუმს, ყარსს და ქმნიან იქ თურქულ ადმინისტრაციულ ერთეულებს. ახლა მათ უკვე ტრაპიზონ-არზრუმის ვილაიეთებიდან მიქონდათ იერიშები საქართველოზე და პირველ რიგში მესხეთის (სამცხე-საათაბაგოს) სამთავროზე. XVI ს-ის მეორე მეოთხედში ოსმალები ახერხებენ საქართველოს უკიდურესი სამხრეთი პროვინციების დაპყრობას (უმთავრესად ტაოს მხარე). ამავე პერიოდიდან იწყება ბრძოლა თურქებთან დაპყრობილი ტერიტორიების გათავისუფლებისათვის.

ამ დროის აღმოსავლეთ ევროპაში უდიდესი მნიშვნელობის ძვრები მოხდა. მოსკოვის გარშემო გაერთიანებულმა სამთავროებმა შექმნეს საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო. ქრისტიანული რუსეთის საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლას ქართველმა პოლიტიკოსებმა იმედის თვალით შეხედეს. XV ს-ის 90-იან წლებში კახთა მეფე დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს მოსკოვის დიდ მთავართან. საქართველოში სულ უფრო მტკიცედ ისახება ქვეყნის ხსნის ახალი გზები. სულ უფრო მკაცრად დგება დაშლილი საქართველოს კვლავ გაერთიანების საკითხი. სამწუხაროდ, გაერთიანებისათვის ბრძოლა ასეთ საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში ახალ შიდაფეოდალურ აშლილობასა და მის შემდგომ დანაწევრებას იწვევდა.

1535 წ. იმერეთის მეფე ბაგრატმა სამცხე-საათაბაგოს (მესხეთის) სამთავრო დაიპყრო და თითქმის ათი წლის განმავლობაში იმერეთის სამეფოსთან გააერთიანა, მაგრამ იმ-

V 227.200
3
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეთს არ ეყო ძალა მის შემოსამტკიცებლად და იგი მალე დაკარგა. ამავე პერიოდში თურქები იწყებენ თავდასხმას მესხეთზე. 1536 წ. ბაიბურთის მმართველს ემირ მეჰმედ ხანს დაევალა შეეკრიბა ძლიერი ლაშქარი და თავს დასხმოდა მესხეთის სამხრეთ პროვინციებს. ამ ბრძოლების მონაწილე იყო თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევიც. იგი წერს: „ლაშქარი რომ შეიკრიბა, შეესია საქართველოს და დაიწყო მისი აოხრება. ამასობაში ქართველი ურჯულოებიც მომზადებულიყვნენ და ისლამის ლაშქარს წინ აღუდგნენ. გამარჯვება ისლამის ლაშქარს ერგო. აუარებელი დასამიწებელი ურჯულო გაწყდა. გადარჩენილები რომ დაიფანტნენ, ასკერები ეძგერნენ საშოვარს და იმდენი ნადავლი ჩაიგდეს ხელში, რომ გადმოცემა ძნელიაო". თავდასხმებს და ძარცვა-გლეჯას უწყვეტი ხასიათი მიეცა.

1542-43 წწ. ოსმალეთის მბრძანებელმა სულთან სულეიმანმა არზრუმის მმართველი მუსა-ფაშა 60 სანჯაყის ამირასთან ერთად სამხრეთ საქართველოს (მესხეთის) დასაპყრობად გამოაგზავნა. ბაგრატ მეფემ სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ მუსა-ფაშას ჯარი დაამარცხა. მესხეთის დალაშქვრა ახლა დიარბექირის ფაშას დაევალა. შემდეგ 1543-44 წწ. მუთამარიდ ალი-ფაშას და ა.შ. განსაკუთრებით მძიმე გამოდგა თურქთა შემოტევა 1545 წელს.

ბრძოლა მოხდა სოფ. სოხოისტასთან, სადაც ქართველები დამარცხდნენ. ამ პერიოდიდან ოსმალები თანდათან ეუფლებიან მესხეთის სამხრეთ პროვინციებს. 1549 წ. სამცხე-საათაბაგოს წინააღმდეგ დაიძრა არზრუმის ფაშა მეჰმედი 40.000 ლაშქრით. ოსმალებმა მძიმე ბრძოლების შემდეგ შეძლეს აეღოთ თორთუმის, ნიხახის, ამირახორის, ალჩაყალის, ფანასკერტის, ლივანისა და სხვა ციხეები. ფეჩევის მოწმობით ამ მხარეში შესევის შემდეგ ქართველ მეომართა დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა, ხოლო დაპყრობილ მხარეში შესვლის შემდეგ ურიცხვი ჭაბუკი და ქალწული მუსულმან მეომართა ხელში ცვიოდნენ, რომელთაც შემდეგ ტყვეებად ყიდდნენ. მესხეთის დაპყრობილ ციხეებში ოსმალური გარნიზონი ჩააყენეს. დაპყრობილი მხარე ოთხ სანჯაყად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყვეს და საბეგლარბეგო შექმნეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ იქ ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობა უქმდებოდა და ოსმალური მართვა-გამგებლობის შემოღება იწყებოდა. ოსმალები კი წინსვლას არ აჩერებდნენ. 1550 წ. ისინი ქალაქ არტანუჯს მიუახლოვდნენ. მალე ქალაქი ალყაში მოაქციეს და მეციხოვნეთაგან დანებებას მოითხოვდნენ. მესხი მეციხოვნენი მტერს არ ნებდებოდნენ.

რთული მდგომარეობა იყო თვით მესხეთში, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. მესხი ფეოდალები დასებად იყვნენ დაყოფილნი, მათი დიდი ნაწილი ქართლ-იმერეთთან შეერთების მომხრე იყო, ნაწილი თურქეთთან ან ირანთან სეპარატიულ მოლაპარაკებას არჩევდა და ქვეყნის ხსნას ამ გზით ფიქრობდა. უფრო დიდი უბედურება ის იყო, რომ მესხეთის მთავრები სამთავროს გაუქმების შიშით ქართულ სამეფო-სამთავროთა დახმარებას ერიდებოდნენ. ათაბაგი ქაიხოსრო ჯაყელი XVI ს-ის 40-იანი წლების დამლევსა და 50-იანი წლების დასაწყისში ირანთან კავშირზე და მის დახმარებაზე ფიქრობდა. მესხთა დიდი ნაწილის იმედები ქართლის მეფე ლუარსაბისადმი იყო მიპყრობილი და მას ეპატიუებოდა მესხეთში. ათაბაგმა ქაიხოსრო ყვარყვარეს ძემ ამის საწინააღმდეგოდ დახმარება სთხოვა შაჰ თამაზს. 1551 წ. შაჰ თამაზი მესხეთში შემოვიდა და ქვეყანა საშინლად გაძარცვა. მაშინ გაიძარცვა სახელგანთქმული კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძიაც, უდიდესი მსხვერპლის ფასად ქაიხოსრო ჯაყელმა ჯავახეთი დაიბრუნა. სპარსეთი შეტევაზე გადავიდა. თურქებმა არტანუჯის ციხის ალყა მოხსნეს და უკან დაიხიეს. მალე შაჰ თამაზმა აიღო ყარსი, არზრუმი და ქაიხოსრო ათაბაგს რომ ეგონა მთელი მესხეთი კვლავ შემოერთებული, ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ: 1555 წ. ამასიაში თურქეთმა და ირანმა ზავი დადეს. ორმა მტაცებელმა საქართველოს უკითხავად და დაუპყრობლად საქართველო შუაზე გაიყო. აღმოსავლეთ საქართველო ერგო სპარსეთს, დასავლეთ საქართველო – თურქეთს. რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს (მესხეთს), ამ დაყოფის დროს ის ყველაზე მეტად დაზიანდა. ზავის ძალით სამთავრო შუაზე იყოფოდა. მისი დასავლეთი ნაწილი – ტაო-კლარჯეთი, შავშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი, ერუშეთი რჩებოდა თურქეთს, ხოლო აღმოსავლეთი ნაწ-
ილი – სამცხე, ჯავახეთი – ირანს. სამთავროს ცენტრი –
ახალციხე ირანის ზონაში მოხვდა. ამდენად, ათაბაგს საშუ-
ალება მოესპო მთლიანი სამთავროს მართვისა. ამასიის ზავის
შემდეგ თურქეთი ენერგიულად შეუდგა „მიკუთვნებული“ ტერ-
იტორიების დაპყრობასა და ათვისებას. 50-იანი წლების ბო-
ლოს თურქებმა სამხრეთ-დასავლეთ მესხეთის ტერიტორიაზე
უკვე შექმნეს ე.წ. „გურჯისტანის ვილაიეთი“, რომლის „კა-
ნონ-ნამე“ მეორედ განაახლეს 1573-74 წწ. როგორც ჩანს პირველ
ხანებში თურქები „გურჯისტანის ვილაიეთში“ ქრისტიანობას
ითმენდნენ და აქაურ საეპისკოპოსოებს არ აუქმებდნენ. ტაო-
კლარჯეთის სასულიერო წრეების მთავარი ამოცანა ახლა
რჯულის სიმტკიცის დაცვა და ქართლის კათალიკოსის მორ-
ჩილება იყო, მაგრამ ეს დათმობები დიდხანს არ გაგრძელე-
ბულა.

თურქეთი ამასიის ზავის თანახმა არ იყო. მას სამცხე-
საათაბაგოს (მესხეთის) სრული დაპყრობა ქონდა გადაწ-
ყვეტილი. იგი აქედან ფიქრობდა გაჭრას ამიერკავკასიასა და
კასპიისპირეთში, საიდანაც თავისუფლად დაუკავშირდებოდა
შუააზიელ თვისტომებს.

1576 წ., როცა თურქეთის იმპერიის ტახტზე ავიდა
სულთანი მურად III, შაჰ თამაზმა მას ამასიაში დადებული
ხელშეკრულების განახლება და დამტკიცება მოსთხოვა. თურქ-
თი პასუხს აგვიანებდა. ამასობაში გარდაიცვალა ირანის მბრ-
ძანებელი შაჰ თამაზი, და ქვეყანაში ჩვეულებრივად ანარქია
დაიწყო, რამაც ოსმალებს საშუალება მისცა ირანთან ახალ
ომზე ეფიქრათ. სულთანის კარმა ირანთან ომი გადაწყვიტა.
1578 წ. სულთან მურად III-მ ომში მთავარსარდლად დანიშნა
მისი გამზრდელი, წარმოშობით ბულგარელი სოკოლოვთა
გვარიდან გამაჰმადიანებული მუსტაფა-ფაშა.

1578 წ. გაზაფხულზე მუსტაფა ლალა-ფაშა ამ-
იერკავკასიისაკენ დაიძრა 200.000 მეომრითა და 500 ქვემეხით.
ივლისში ერზრუმ-ტრაპიზონის ხაზზე განლაგდა და შაჰის
კარს მისწერა: „გადაწყვეტილი მაქვს ქრისტიანი ქართველებ-
ის ქვეყნები დავიკავო და თუ თქვენ გადამიღობავთ გზას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ იძულებული გავხდები თქვენც შეგებრძოლოთო“. ასევე გაუგზავნა წერილები მან სა-ქართველოს სამეფო-სამთავროებს დამორჩილების შესახებ. ფაშას წერილი მიიღო მესხეთის მთავარმა მანუჩარ ქაიხოსროს ძემაც.

1578 წ. ივნისის ბოლოს მუსტაფა-ფაშამ არტაანის რაიონში გადმოლახა სამცხე-საათაბაგოს საზღვარი. მოზღვავებული მტრის შეკავება მცირერიცხოვანმა ჯარმა ვერ შეძლო. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ მესხეთში ამ დროს შიდა ფეოდალური ომი იყო ატეხილი. აღსანიშნავია, რომ მეტად ცხარე და ტრაგიკული ბრძოლა გაიმართა 8 აგვისტოს ქაჯის ციხის მიდამოებში. როცა მტერმა ველის ციხე, თეთრი ციხე და მგელ-ციხე დაიკავა, უკანასკნელი იმედი ქაჯის ციხეზეღა იყო. შეტევაზე გადმოსულმა ოსმალებმა ქაჯის ციხეც ალყაში მოაქციეს. ციხის მცველმა მესხმა მეომრებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ მტერს არ დანებდებოდნენ. თურქები უკან არ იხევდნენ, ისინი დიდი ზარალის მიუხედავად ახალ-ახალ რაზმებს აბამდნენ ბრძოლაში. ქაჯის ციხის გმირ დამცველებმა ბოლო კაცამდე იბრძოლეს, ათჯერ მეტი მტერი მოსპეს. თვითონ კი უკლებლად ისე დაიხოცნენ, რომ არც ერთი კაცი თურქებს ცოცხალი არ დანებდა. მესხთა თავგანწირვის ეს საშინელი მაგალითი არაფერს კარგს არ მოასწავებდა დამპყრობლისათვის. ჩილდირის ველზე თურქებს გზა გადაუღობა სპარსეთის 30.000 ჯარმა თოქმაქ-ხანის მეთაურობით. მესხეთის ერისთავი მანუჩარ ჯაყელი ელოდა რა საომარ მოქმედების განვითარებას, არ ჩქარობდა მუსტაფა ლალა-ფაშასთან მოლაპარაკების დაწყებას. მანუჩარ ჯაყელი ცდილობდა თურქებისაგან მიე-

ოპიზა

ღო გარანტია მხარის პოლიტიკური სტრუქტურის და რელიგიის ხელშეუხებლობის შესახებ. ასევე ითხოვდა თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ პროვინციების დაბრუნებას, რისთვისაც იგი ხარკის გადახდას კისრულობდა.

მუსტაფა ლალა-ფაშა დაპირდა კიდეც 50-იან წლებში მიტაცებულ „გურჯისტანის ვილაიეთის" დაბრუნებას, ოღონდ არა მეხარკეობით, (თურქები ურთიერთბის ამ ფორმას განვლილ ეტაპად თვლიდნენ და მის მაგივრად ამ მხარის მოხელეობას ურჩევდნენ, რაც ფაქტიურად მესხეთის მთლიან ინკორპორაციას ნიშნავდა).

1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირის ველზე სოფ. ძურძნასა და წინწალას შორის გამართულ ბრძოლაში თურქებმა დაამარცხეს სპარსელები. მეორე დღესვე 10 აგვისტოს მანუჩარ II 6.000 ცხენოსანთა თანხლებით ეახლა ლალა-ფაშას და მორჩილებაზე თანხმობა განუცხადა. ლალა-ფაშამ მას საღღესასწაულო მიღება მოუწყო. ამავე დროს თავისი წარმომადგენლები დააგზავნა მესხეთში იქ გამაგრებულ პუნქტებისა და ციხე-სიმაგრეების დასაკავებლად. გაატარეს რა აღნიშნული ღონისძიებები თურქებმა უარი თქვეს ადრე შეთანხმებულ პირობებზე – სამთავროს მთლიანობის აღდგენაზე, ე.ი. მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნებაზე და მეხარკეობის დაწესებაზე. მანუჩარს განუცხადეს, რომ მას უტოვებდნენ მხარის მმართველობის უფლებას მოხელეობით თურქული წესის მიხედვით (მხარის სანჯაყებად დაყოფით). მმართველობის ასეთი ფორმა სინამდვილეში წარმოადგენდა ქართული სოციალ-პოლიტიკური ფეოდალური წყობის გაუქმებას მთელს სამთავროში. თუმცა ამ ეტაპზე თურქები მოსახლეობის რელიგიას არ შეხებიან, მაგრამ სანჯაყებად დაყოფის ფაქტი ითვალისწინებდა მომავალში რელიგიის შეცვლასაც.

1579 წ. სულთანმა სტამბოლში მიიღო მანუჩარ II და მისი ძმა. მანუჩარი, რომელმაც მიიღო ისლამი, დაინიშნა ბეგლარ-ბეგად, ხოლო მისი ძმა ყვარყვარე, რომელმაც ისლამზე უარი თქვა, დაინიშნა სანჯაყის მმართველად. ანტიქართული რეფორმით უკმაყოფილო მანუჩარ II-მ სტამბოლიდან დაბრუნებისთანავე კავშირი დაამყარა ანტითურქულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალებთან. პირველ რიგში იგი დაუახლოვდა ქართლის მეფეს – სიმონ I-ს. ამის საპასუხოდ თურქებმა 1582 წ. ერზრუმიდან გამოგზავნეს 20.000-იანი არმია თბილისის ციხეში ჩაყენებული თავისი გარნიზონის გადასარჩენად (თბილისი დაპყრობილი იყო თურქების მიერ 1578 წ. ომის დროს). ამის შესახებ მანუჩარმა საიდუმლოდ აცნობა სიმონ I-ს, რომელიც თურქებს დახვდა და გაანადგურა ისინი. თურქებმა გადაწყვიტეს მანუჩარის სიკვდილით დასჯა, მაგრამ იგი აღდგა თურქეთის წინააღმდეგ, უარყო მუსულმანობა, განდევნა თურქული გარნიზონები თავისი სამთავროს ციხესიმაგრეებიდან და დაქორწინდა სიმონ I-ის ქალიშვილზე – ელენეზე. მოწინააღმდეგე ძალები მეტად არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. თურქების ჯარის რიცხობრივად დიდი უპირატესობის გამო მანუჩარმა გადაწყვიტა ისევ განეახლებინა ურთიერთობა თურქეთთან მეხარკეობის სახით. ამაზე თურქეთმა უარი განუცხადა და მანუჩარ II-ის დესპანები – აწყურის ეპისკოპოსი, თავადები ედიბერ და ელია შალიკაშვილები და ქოიარ ამილახვრიშვილი დააპატიმრეს სტამბოლში. თურქებმა განაახლეს ინტენსიური სამხედრო მოქმედება მესხეთის წინააღმდეგ და 1587 წ. ახალციხე დაიპყრეს. 1590 წ. 12 წლიანი ომი თურქეთსა და ირანს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებით დამთავრდა. აღმოსავლეთ საქართველო და მესხეთი ირანმა ისევ სცნო თურქეთის გავლენის სფეროდ. ახლად დაკავებულ მესხეთში აღდგენილ იქნა ბეგლარ-ბეგობა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლ-კახეთის დაპყრობა ვერ მოახერხეს და დასთანხმდნენ მოხარკეობაზე. მანუჩარი მაინც არ ემორჩილებოდა თურქეთს და განაგრძობდა მის წინააღმდეგ მოქმედებას. 1579 წ. მესხეთის ტერიტორიაზე შექმნილმა საბეგლარბეგომ ჩილდირის ველზე ბრძოლის ნიშნად მიიღო „ჩილდირის ვილაიეთის“ სახელწოდება. მას შეუერთდა სამხრეთ მესხეთში შექმნილი „გურჯისტანის ვილაიეთი“ - სამცხე-საათაბაგოს ყოფილი ტერიტორია და ამრიგად ისევ გარდაიქმნა იგი საფაშოდ; მის ცენტრად რჩებოდა ახალციხე.

1595 წ. თურქებმა ჩაატარეს ჩილდირის ვილაიეთის აღწერა, შეადგინეს საგადასახადო დავთარი, ე.წ. „გურჯისტანის

ვილაიეთის დიდი დავთარი", რომლის ტექსტი თურქულ და ქართულ ენებზე კომენტარებით შეისწავლა და გამოსცა სამ ტომად ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ. დავთრის მიხედვით სამცხე-საათაბაგო დაყოფილი იყო რვა სანჯაყად: ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის და სხვა. სანჯაყი იყოფოდა ნაჰიებად. ამრიგად ახალციხის სანჯაყში შედიოდა შვიდი ნაჰიე: მზვარე, ჩრდილი, უდე, ქვაბლიანი, აწყური, ასპინძა და ჭაჭარაქი. დავთარში აღწერილია გადასახადის გადამხდელუნარიანი 1.600 სოფელი. სოფლების მიხედვით შედგენილია სახელობითი სიები. აღსანიშნავია, რომ 1595 წლის მონაცემებით მესხეთში გაუდაბურებული იყო 364 სოფელი.

1603 წელს ირანის შაჰმა აბას I-მა დაარღვია 1590 წ. თურქეთთან დადებული სამშვიდობო ზავი და ომი დაიწყო. 1607 წ. სპარსეთ-საქართველოს გაერთიანებულმა არმიამ ახალციხე დაიკავა. აღდგენილ იქნა სამცხე-საათაბაგოს სამთავრო. თუმცა 1619 წლამდე ეს მხარე ხელიდან ხელში გადადიოდა. ამჯერად თურქები ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდნენ, რათა აქ თავისი პოზიციები განემტკიცებინათ. 1619 წ. ირანმა უარი განაცხადა სამცხე-საათაბაგოზე, რომლის მაგივრადაც თურქებმა შორეული ბაღდადის ვილაიეთში მას დაუთმეს დარნეს და დერტენჯის სანჯაყები და, ამის გარდა, შეურიგდნენ ქრისტიან მანუჩარ III-ის ათაბაგობას. თუმცა მალე თურქებმა შეძლეს ამ საკითხის უმტკივნეულოდ გადაწყვეტა. ერთერთი ქართული ქრონიკის ცნობით 1625 წელს გარდაიცვალა მანუჩარ ათაბაგი, რომელიც თურქეთში მოწამლა საკუთარმა ბიძამ – ბექამ, თვითონ კი მაშინვე სტამბოლს გაემგზავრა, მიიღო მაჰმადიანობა და სამცხის ათაბაგი გახდა – საფარფაშას სახელწოდებით. ამ სისხლიანმა ტრაგედიამ ხელი შეუწყო საათაბაგოში ხელისუფლების საბოლოო გაუქმებას.

XVII ს.-ის მეორე ნახევრიდან დაიწყო მესხების გამაჰმადიანების ნელი შეუქცევადი პროცესი, რღვევის პროცესი ქართული ფეოდალური იერარქიული სტრუქტურის ან ქართული სოციალ-პოლიტიკური წყობისა, რაც მანამდე დაფუძნებული იყო მიწათმფლობელობაზე, გვარზე და მემკვიდრეობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე. მხარეში შემოღებული იქნა თურქული სოციალ-პოლიტიკური წყობა – ოსმალობა. ამ დროიდან არც მესხი ჯაყელები, არც სხვა მესხი ფეოდალები ოფიციალურად აღარ იხსენიებიან თავისი გვარებით, ისინი მხოლოდ შერქმეული მაჰმადიანური სახელებით, ტიტულებითა და თანამდებობებით არიან ცნობილნი. ამის შემდეგ ქართულმა გვარებმა დაკარგეს თავისი ფუნქცია.

აღსანიშნავია, რომ თურქეთის წრეებში საფარ-ფაშას უწოდებდნენ გურჯისტანის მმართველს და არა ჩილდირის ბეგლარბეგს. XVII ს-ის პირველ ნახევარში საფარ-ფაშას და იუსუფ-ფაშას ოჯახის წევრები წარმოდგენილნი არიან ქრისტიანებად, რომლებსაც ჰყავდათ თავისი მღვდელი. ახალციხის სხვა ცნობილ ფეოდალთა ოჯახებიც, რომლებსაც მაჰმადიანური რელიგია ჰქონდათ მიღებული, ჯერჯერობით ქრისტიანებად ითვლებოდნენ.

1625 წელს სამცხეში ჩამოვიდა გიორგი სააკაძე და თავის იქაურ ნათესავებთან ერთად გამაგრდა ანისის ციხეში. ესენი იყვნენ: დაუდბეგ გოგორიშვილი, ასპინძის მფლობელი თანუნა დიასამიძე, ფეოდალი როსტომ შალიკაშვილი, ელიზბარ და ბეჟან თავდგირიძეები და სხვა, რომლებიც ქრისტიანებად ითვლებოდნენ. როგორც ჩანს, მართალი იყო ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელიც წერდა, რომ „ლალა-ფაშა მესხეთის მფლობელ ფეოდალებს უფლებას აძლევდა დარჩენილიყვნენ ქრისტიანებად და მიწისა და თანამდებობის დაკავება ჩამომავლობით გაეგრძელებინათ“. ასეთი წესი ძალაში დარჩა როსტომ-ფაშას მოსვლამდე.

ცნობილმა თურქმა ისტორიკოსმა ევლია ჩელებიმ, რომელმაც იმოგზაურა ახალციხის საფაშოში და აღწერა მესხეთის ციხეები, დატოვა მნიშვნელოვანი ცნობები. იგი აღნიშნავდა, რომ „აწყური ბეგლარ-ბეგის მამულია და ახალციხის საზღვრებში მას მართავს აღა. აქ მშვენიერი ვენახები და ბაღებია. იგი ეკუთვნის შავშეთის ხალხს (ასე უწოდებს ავტორი ყველა მესხს). აქ ყველა მცხოვრები ლაპარაკობს ქართულად“. ევლია ჩელები შენიშნავს აგრეთვე, რომ შავშელი ხალხის ქართული გამოირჩევა თავისი სრულყოფილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიწმინდით დანარჩენი ქართველების მეტყველებისაგან, რომ „იგი მაღალკეთილშობილურია, ძლიერია, გამბედავი და სასიამოვნო“. ასეთად თვლიდა იგი თვით გურჯისტანის მმართველს – საფარ-ფაშა ჯაყელს, დერვიშა-ფაშას, სეიფ-ფაშას და სხვათ. ე.ი. მისი სიტყვებით - „ჩამომავლობით ქართველებს“.

XVII ს.-ის ბოლოს ხშირი ბრძოლები იმართებოდა მესხეთის შემოერთებისათვის, მაგრამ წვრილ სუსტ ფეოდალურ სამთავროებად დაყოფილ საქართველოს ძალები არ ყოფნიდა ამის განსახორციელებლად. მესხეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლის სათავეში იდგა ირანის ვასალი – ქართლი. საბრძოლო მოქმედება იყოფოდა ორ პერიოდად: პირველ პერიოდში ქართლი ცდილობდა მესხეთის დაბრუნებას ირანთან კავშირში, ხოლო მეორე პერიოდში – რუსეთთან კავშირში. პირველი პერიოდი შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად. I – XVI ს.-ის 70-იანი წლებიდან 1639 წლამდე, II – 1639 წლიდან XVIII ს.-ის 20-იან წლებამდე. პირველი ეტაპი ხასიათდებოდა მესხეთის შემოერთებისათვის ქართლის აქტიური პოლიტიკით.

ამ პერიოდში ირანი იბრძოდა 1555 წ. ამასიის ზავის პირობების აღდგენისათვის, რაც გულისხმობდა თურქეთისათვის მესხეთის დაბრუნებას. თურქეთი ამ დროისთვის ყოველგვარი ხერხით ცდილობდა შეენარჩუნებინა მშვიდობიანი დამოკიდებულება დაპყრობილ ფეოდალებთან და ამიტომ გაბატონებული კლასის პრივილეგიებს და ქრისტიანობას ხელუხლებლად ტოვებდა. XVII ს.-ის 30-იანი წლებიდან სიტუაცია შეიცვალა. ირანმა კომპენსაციის სახით მიიღო ტერიტორიები არაბეთში და ამის გამო შეწყვიტა დავა თურქეთთან მესხეთის გამო. ქართლში ქრისტიანი მეფის მაგივრად ტახტზე ავიდა გამაჰმადიანებული როსტომი. ამ გარემოებამ გაართულა ბრძოლა მესხეთის გათავისუფლებისათვის და გააიოლა თურქეთისათვის ბრძოლა მხარის შემდგომი მიტაცებისათვის.

XVI ს.-ის 50-იანი წლებიდან თურქების მიერ მესხეთის დაპყრობამ თანდათან დაასუსტა ის დიდი ლიტერატურულ-საგანმანათლებლო შემოქმედება, რომელიც წარმოებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და აქაურ მონასტრებში. ბევრი შევიწროებული მოღვაწე იძულებული იყო გაქცევით ეშველა თავისთვის და გადასულიყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მესხეთის მატერიალური და სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები დამპყრობელთა ხელში აღმოჩნდა. ქართული უნიკალური ძეგლები დამპყრობელთა მიერ დაუზოგავად ნადგურდებოდა. როგორც ცნობილია ასე განადგურდა X საუკუნის ძველი ქართული ლიტერატურის სწორუპოვარი ძეგლი გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", რომელსაც მსოფლიო ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ტოლი არ ჰქონია. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთადერთმა ეგზემპლარმა, რომელიც შემთხვევით გადარჩა სინაის ნახევარკუნძულზე.

XVII ს.-ის 20-40-იან წლებში საფარ-ფაშა, მისი შვილი იუსუფ-ფაშა და მესხეთის სხვა ფეოდალები ქართულ ეკლესიაში ლოცულობდნენ და თავს ქართველებად თვლიდნენ. 60-იანი წლებისათვის კი სიტუაცია შეიცვალა და გამაჰმადიანება ყველასათვის აუცილებელი გახდა. ოჯახისა და მამულის გადარჩენის მიზნით ახალციხის ფაშამ და მასთან ერთად სხვა ადგილობრივმა ფეოდალებმა აღიარეს მაჰმადიანური სარწმუნოება. ვინც ამ წესს არ ემორჩილებოდა, მას სჯიდნენ თავის მოკვეთით. ასე მაგალითად, ახალციხის ფაშას ასლან ჯაყელის ოჯახის წევრები 1679 წ. კიდევ აღიარებდნენ ქრისტიანობას (მისმა დამ ელენემ – ათაბაგის ასულმა, აღუწერელი სილამაზის მქონემ არ შეიცვალა სარწმუნოება). ამას არ შეურიგდნენ თურქები, ასლან ჯაყელი დაადანაშაულეს იმერეთის მეფე არჩილთან ურთიერთობაში და შეთქმულებაში. მას თავი მოკვეთეს. გათურქებას მესხეთი დაღუპვამდე მიყავდა. XVII ს.-ის ბოლოს მესხეთის ფეოდალური კლასი მთლიანად მოიცვა მაჰმადიანურ-სუნიტურმა რელიგიამ, მაგრამ გლეხობა ჯიუტად იცავდა თავის რწმენას. ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელიც საქართველოში მოგზაურობდა XVII ს.-ის 70-იან წლებში, გონიოდან გოდერძის გადასასვლელის გავლით, ქვაბლიანის და ფოცხოვის სოფლებში გზად მრავლად ხვდებოდა ქრისტიან მოსახლეობას. მისი დაკვირვებით დაბლობში უფრო ჭრელი მოსახლეობა, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაში თითქმის ყველა ქრისტიანი სახლობდა. მათ შორის, დასძენს შარდენი, „მე ვნახე ძალიან ლამაზი გარეგნობის ქალები“.

როგორც ჩანს, მესხი გლეხების გამაჰმადიანება დაიწყო XVII ს.-ის ბოლო მეოთხედში და გაგრძელდა XIX ს-ის 20-იან წლებამდე. მესხეთის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გადარჩა გამაჰმადიანებას. ასეთ პირობებში მზადდებოდა ქართლში და კახეთში მესხეთის გამაჰმადიანებისაგან გადარჩენის გეგმა. საჭირო გახდა ამ საქმეში საიმედო მოკავშირის გამოძებნა. ასეთად ჩანდა რუსეთი. პეტრე I არ იყო წინააღმდეგი ამიერკავკასიაში ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობისა. ვახტანგ VI-მა რუსეთის წარმომადგენლობას განუცხადა, რომ „ურიცხვი სიმაგრენი გზად კაპადოკიამდე და კახეთამდე ძალით არის დაპყრობილი. ჩვენი წინაპრების სურვილის წინააღმდეგ და ყოველგვარი უფლების გარეშე მოწყვეტილია იგი ჩვენგან“.

რუსეთმა საქართველოს რეალური დახმარება არ გაუწია. პირიქით, საქართველო დაუპირისპირა მტრულ ძალას – ირანის შაჰს. ვახტანგ VI იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო. 1723 წ. თურქებმა დაიპყრეს თბილისი. ვახტანგ VI-ის შვილი ბაქარი, რომელიც საქართველოს მმართველი გახდა, იძულებული გახდა მიეღო მაჰმადიანობა. თბილისში თურქებმა დააწესეს ბეგლარ-ბეგობა, რომელიც ეფუძნებოდა ქართლის დაყოფას სანჯაყებად, მოსახლეობის აღწერას და მეხარკეობის დავთრის შედგენას. ამრიგად ყოველივე ეს ნიშნავდა სამეფოში ოსმალური მფლობელობის შემოღებას. ქართლი დადგა კატასტროფის წინაშე. მას მესხეთის ბედი ელოდა. ბაქარი ქართლში თურქული პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძოდა. მან ბეგლარ-ბეგობა უარყო და პარტიზანული ომი დაიწყო (ანალოგიურ სიტუაციას ადგილი ჰქონდა მესხეთში 1582 წელს, როდესაც მანუჩარმა უარყო ისლამი და დაიწყო ბრძოლა დამპყრობლის წინააღმდეგ). თურქებმა მმართველობა გადასცეს ვახტანგის ძმას, ბაქარის ბიძას – გამაჰმადიანებულ იესეს. 1727 წ. იესეს სიკვდილის შემდეგ დასახული პოლიტიკის გასატარებლად, თურქებმა ქართლში გააუქმეს მეფობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთპიროვნულ მმართველად დანიშნეს ჯაყელების საგვარეულოდან ახალციხის ფაშა – რენეგატი ისაყ-ფაშა. სულთანმა მას დაავალა კახეთის დაპყრობა, სამაგიეროდ მას სამთულიან ფაშობას დაჰპირდა. სამთულიანი ისაყ-ფაშა სულ მალე აღიჭურვა ვეზირის (მინისტრის) უფლებებით. 1731 წ. 20 ივნისს მის მიერ ქართულად დაწერილ წერილში იგი ასე აწერდა ხელს: „მე, მმართველი მთელი საქართველოსი, სამცხე-საათაბაგოსი, სრულიად იმერეთის, ქართლის, ლორეს, ყაზახის, შამშადილის და ვეზირი კახეთისა, ისაყ-ფაშა“. ქართლისათვის ეს იყო ყველაზე მძიმე პერიოდი, რომელიც 1735 წ. შეიცვალა არანაკლებ მძიმე – ირანის შაჰის, ნადირის ძალმომრეობის პოლიტიკით, რომელიც გაგრძელდა 1747 წლამდე.

XVIII ს.-ის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს გათავისუფლებისათვის და ამიერკავკასიაში პირველობისათვის ბრძოლას წარმატებით ჩაუდგნენ სათავეში კახეთის მეფე თეიმურაზ II და მისი ვაჟიშვილი ერეკლე II. მრავალრიცხოვან მტერზე ზედიზედ გამარჯვებებმა მათ მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დიდი სახელი და ძალაუფლება მოუპოვეს. აღკვეთილ იქნა საქართველოს ძარცვა-გლეჯა ოსების მხრიდან. მიყვებოდნენ რა ვახტანგ VI-ის მიერ არჩეულ გზას, ქართველი მეფეები განაგრძობდნენ რუსეთთან კავშირის ძებნას. ამ მიზნით 1760 წ. თეიმურაზ მეფემ რუსეთში ყოფნის დროს საიმპერატორო სასახლეს წარუდგინა თავისი საინტერესო გეგმა. 1762 წელს მეფე თეიმურაზი რუსეთში გარდაიცვალა. გაერთიანებულ ქართლ-კახეთის მეფედ აღიარებული იქნა ერეკლე II. მან მეფობის პირველ დღიდანვე ჩაატარა ენერგიული ღონისძიებები სახელმწიფოს შიგნით წესრიგის დასამყარებლად. ერთდროულად ეწეოდა მუდმივ თავდაცვით ომებს. ამ დროისათვის გაერთიანდა დასავლეთი საქართველო, ხოლო მესხეთში ისევ მძიმე მდგომარეობა რჩებოდა. ამის გამო ერეკლე II-ის პოლიტიკის ცენტრალური პრობლემა სამცხე-საათაბაგოს ე.ი. ახალციხის საფაშოს დაბრუნება წარმოადგენდა. თურქები კი პირიქით, ისწრაფვოდნენ მხარის მთლიანი გამაჰმადიანებისა და საქართველოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღესტნელების ყაჩაღური თავდასხმების ორგანიზაციისა-ენ, რადგან საქართველოსა და რუსეთის კავშირის საფუძვლად ისინი ქრისტიანულ ერთობლივ რელიგიას თვლიდნენ.

XVIII ს-ის 40-იან წლებში ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილი „საქართველოს სამეფოს აღწერის“ მიხედვით მესხთა ყოფა, ენა, ღვთისმსახურება, ტანსაცმელი არ განსხვავდებოდა ქართლელებისა და კახელებისაგან. მხოლოდ აქაური კილო, როგორც აღნიშნავდა ვახუშტი, გამოირჩეოდა ნელი ტაქტითა და სიტკბოთი. მისივე სიტყვებით: „მესხებს ძველებურად უყვართ ხელოვნება და მეცნიერება, მაგრამ პირობების უქონლობის გამო მოკლებულნი არიან მათ დაუფლებას“. გამაჰმადიანდა ქართველების მხოლოდ მაღალი საზოგადოება, გლეხები კი ნაწილობრივ ქრისტიანებად რჩებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კლარჯეთში, ე.ი. მესხეთის ყველაზე სამხრეთ პროვინციებში, გლეხები ასევე გაამაჰმადიანეს, მათ მშობლიურ ენად ისევ რჩებოდა ქართული. ოღონდ, როგორც შენიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი, დღესასწაულებსა და კრებებზე თავადაზნაურობა ლაპარაკობდა თურქულად, ხოლო სახლში – ქართულად. მათი ტანსაცმელი გავს თურქ მაღალჩინოსნებისას, ხოლო გლეხების ტანსაცმელი იგივეა, რაც მთელ საქართველოში. ამას მოწმობს გიულდენშტედტიც, რომლის დაკვირვებითაც მესხების საცხოვრისი, ტანსაცმელი, ზნე-ჩვეულება, წარმოების საშუალებები მთლიანად ქართულია!



საფარა

1769 წ. ახალციხის საფაშოს მიწა-წყალზე იმოგზაურა რუსეთის მთავრობის „სტატსკი სოვეტნიკმა“ - თავად ამილახვარმა. წარდგენილ მოხსენებაში იგი წერდა: „ყველა ქალაქის მაცხოვრებელი, როგორც თვით ფაშაც, ლაპარაკობს ქართულ და თურქულ ენებზე თანაბრად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხების ძალისმიერი გამუსულმანება გრძელდებოდა. როგორც ცნობილია, XVIII ს-ის შუახანებში იქმნებოდა სასულიერო სასწავლებლები, სადაც სალაპარაკო ენა იყო თურქული და ბავშვებს აზეპირებინებდნენ არაბულ ლოცვებს. მოლები მათ ჩააგონებდნენ, რომ ქართული ენა ურწმუნოთა ენაა და ამ ენაზე ლაპარაკი ცოდვაა ალაჰის წინაშე. დროთა განმავლობაში ამ პროპაგანდას თავისი შედეგი მოჰქონდა.

1768 წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს პეტერბურგს გაახსენდა ამიერკავკასიის ქრისტიანული სამეფოებისა და საერისთავოების არსებობა და გადაწყვიტა გამოეყენებინა ისინი თურქული ძალების შესაჩერებლად. ერეკლე II-მ და სოლომონ II-მ გადაწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ ამ ომში. ერეკლე II იმედოვნებდა ახალციხის საფაშოს გაწმენდას დამპყრობლებისაგან, აღმოსავლეთ კახეთის (ჭარი და ბელაქანი) გათავისუფლებას ოსებისაგან და მათი პრობლემების საბოლოოდ მოგვარებას. იგი არწმუნებდა ეკატერინე II-ეს, რომ თურქების მიერ დაპყრობილი მესხეთი წარმოადგენდა მთლიანი საქართველოს ნაწილს და მისი დედა ენა არის ქართული. დასავლეთ საქართველოს მეფე სოლომონ II აგრეთვე ცდილობდა იმერეთის სამეფოს მიმდებარე ტერიტორიების გათავისუფლებას თურქებისაგან. 1769 წ. რუსეთის არმია გენერალ ტოტლებენის მხედართმთავრობით შემოვიდა საქართველოში. 1770 წ. იგი ერეკლე II-თან სურამში სათათბიროდ ჩავიდა, სადაც ერეკლემ და ტოტლებენმა გადაწყვიტეს ახალციხეზე გალაშქრება. როგორც ჩანს, ტოტლებენი თავის მიზნად თვლიდა თურქებისთვის ჩაეგონებინა, რომ მას თავისი საჯარისო ნაწილები არ გაეგზავნა დასავლეთის ფრონტზე, რადგან გენერალს არ სურდა შეეცვალა ამ რეგიონის საზღვარზე არსებული პოზიცია. ამის გამო ერეკლე II-მ გადაწყვიტა მესხეთის გათავისუფლება საკუთარი ძალებით. 1770 წ. 15 აპრილს ქართულ-რუსული ჯარი ავიდა სადგერში და იქიდან გაემართა აწყურის მიმართულებით. ტოტლებენმა აწყურში მხოლოდ 600 ჯარისკაცი და რვა მცირე კალიბრიანი ზარბაზანი შეიყვანა. ერეკლე II-ს 7.000 მეომარი ჰყავდა. მესხეთში შესვლისთანავე მასთან გამოცხადნენ ადგილობრივი მეომრე-

ბი, რომლებიც თხოვდნენ ჯარში ჩარიცხვას. 17 აპრილს აღებულ იქნა აწყურის ციხე. ტოტლებენმა გადაწყვიტა გაეგრძელებინა რეიდი მიმდებარე სოფლებში და მოსახლეობისგან წამოეღო საგზალი ჯარისათვის.

ერეკლე II-ის ტაქტიკური ჩანაფიქრი ამ დროს მდგომარეობდა მესხეთის გათავისუფლების ინიციატივის სწრაფ გამოყენებაში. 18 აპრილს ახალციხის ფაშამ ნომანმა გაგზავნა მაშველი ძალა 2.000 კაცი. ტოტლებენმა კი ამ დროს ყოველგვარი განმარტების გარეშე მოხსნა თავისი ალყა და ჯარი ქართლში გადაიყვანა. ერეკლე II იძულებული გახდა გაჰყოლოდა ტოტლებენს და აერჩია გზა ქართლში დასაბრუნებლად (ჯავახეთსა და თრიალეთზე). ერეკლე II ფრთხილობდა, რათა ტოტლებენს მისი არყოფნით არ ესარგებლა და თბილისი არ დაეპყრო. 8.000-იანი ჯარით და დაქირავებული ოსების შემადგენლობით ერეკლე II-მ მიაღწია ასპინძამდე. აქ მას გზა გადაუღობა 1.500 კაცისაგან შემდგარმა მაშველმა ჯარმა, რომელიც მიიჩქაროდა მთავარ თურქულ ძალებთან შესაერთებლად. ქართველებმა მათ მთელი ძალით შეუტიეს და გაანადგურეს, ხოლო შემდეგ დაამარცხეს 4.000 კაციანი თურქ-ოსების ნაწილი. ერეკლე II-ს გამარჯვებამ ფართო რეზონანსი გამოიწვია ევროპაში. ეს გამარჯვება მხოლოდ ეპიზოდი იყო რუსეთ-თურქეთის ომში. თუ არ ჩავთვლით ოსებს, რომლებიც ახალციხის ჯარის ნახევარს შეადგენდა, ფაქტიურად ეს იყო ომი ქართლისა და კახეთის ქრისტიან ქართველებსა და მესხ ქართველ-მუსულმანთა შორის, ე.ი. ომი ქართველებსა და ქართველებს შორის. ასპინძის ომში დამარცხების გამო სტამბოლმა ნომან-ფაშას ადგილზე ისევ ჯაყელების გვარის წარმომადგენელი – სულეიმან-ფაშა დანიშნა.

ერეკლე II-ს გამარჯვებამ ასპინძის ომში თურქეთი სერიოზულად დააფიქრა. საპასუხოდ მან აღმოსავლეთ საქართველოში დაღესტნელების შემოსევების ორგანიზაცია კიდევ უფრო გააძლიერა. ამ საქმის მოგვარება მან ახალციხის ფაშას დააკისრა. მიუხედავად ამისა ერეკლე II-მ 1770 წ.-ის შემდეგაც გააგრძელა ფიქრი მესხეთის გათავისუფლებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ მესხეთის ფეოდალთა ნაწილი, რომელმაც შეიცვალა რელიგია, ავადმყოფურად განიცდიდა სამშობლოს დაკარგვას და ერეკლე II-ს პირდებოდა ყოველნაირ დახმარებას მესხეთის გათავისუფლების საქმეში. 1771 წ., როდესაც ერეკლე თავის ჯართან ერთად დაბანაკებული იყო თრიალეთში (ეხლანდელი წალკა), მას ეახლა მესხი ფეოდალების ჯგუფი ხერთვისელი იბრაგიმ-ბეგის მეთაურობით, რომელმაც მისცა ფიცი, რომ მთელ სანჯაყს თავისი მოსახლეობით მას გადასცემდა. მოლაპარაკების შემდეგ ერეკლე დაიძრა ხერთვისისაკენ, 25 ოქტომბერს ციხეში თავისი გარნიზონი დააყენა, ხოლო ხეროვისის სანჯაყი, სადაც მოსახლეობა ჯერ კიდევ ქრისტიანებად რჩებოდა, შეუერთა ქართლ-კახეთის სამეფოს. მეფე იმედოვნებდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების და ზავის დადების დროს გათვალისწინებული იქნებოდა შექმნილი მდგომარეობის ფაქტობრივი მხარე და შემოერთებული ნაწილი მას დარჩებოდა. სამწუხაროდ მოხდა პირიქით, რუსეთის წარმომადგენლის – ლევოვის მოთხოვნით ერეკლე II-ს მოუხდა ხერთვისისა და მისი სანჯაყის დატოვება. საქართველოს სამეფო კარმა ამჯერად გადაუდებლად ჩათვალა, გაერკვია თავისი დამოკიდებულება რუსეთთან; ამ მიზნით ხერთვისის ექსპედიციის შემდეგ პეტერბურგში გაიგზავნა ელჩობა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა კათალიკოსი – ანტონ I (სრულიად საქართველოს პატრიარქი), უფლისწული ლეონი და ხერთვისის ბეგი იბრაგიმ ვაჩნაძე. წარგზავნილები არწმუნებდნენ რუსეთის კარს, რომ თუ რუსეთი დაეხმარებოდა მათ მიწების გათავისუფლების საქმეში, მაშინ საქართველო რამოდენიმე წლის განმავლობაში შეძლებდა მისი ეკონომიკური დანახარჯების შევსებას, რომ ამას გარდა რუსეთი ბევრს მოიგებდა ამიერკავკასიასთან ურთიერთობით. წარმომადგენლები დაბეჯითებით მოითხოვდნენ რუსებისგან ახალციხის მხარის რაც შეიძლება სწრაფად გათავისუფლებას, რადგან ამ ქართულ მიწა-წყალზე თურქები ქრისტიანულ მოსახლეობას ძალისმიერად ამუსულმანებდნენ. დაგვიანების შემთხვევაში კი მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი გახდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერთვისის სანჯაყის მმართველი იბრაგიმ-ბეგი მხარს უჭერდა რა ერთიანი საქართველოსთვის ბრძოლის პოლიტიკას, გამოდიოდა არა მხოლოდ ახალციხის ფაშის წინააღმდეგ, არამედ მთელი თურქეთის წინააღმდეგ. წარგზავნილების მისია მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ მასში მონაწილეობდა იმ მხარის წარმომადგენელი, რომელიც საქართველოს უნდა დაებრუნებინა, სახელდობრ, ხერთვისელი ბეგი იბრაგიმ ვაჩნაძე.

რადგან ქუჩუკ-კაინარჯის ზავმა 1774 წ. ქართულ-თურქული პოზიციები უცვლელად დატოვა, საქართველოს ისღა რჩებოდა, დამოუკიდებლად ეზრუნა თავისი პრობლემების მოსაგვარებლად. ამიტომ იმავე წელს ქართლ-კახეთის სამეფომ ისევ დაამყარა ურთიერთობა ახალციხის საფაშოსთან. ეს დროებითი ურთიერთობანი საქმეს ვერ შველოდა. სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობაში სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა მუსულმანური რელიგია.

80-იანი წლების დასაწყისში რუსეთი ისევ დაინტერესდა საქართველოთი. 1782 წ. ერეკლე II-მ მიმართა რუსეთს თხოვნით, რათა იგი 4.000-იანი ჯარით დახმარებოდა ახალციხიდან თურქების განდევნაში. 1782 წ. რუსი დიპლომატების ზეგავლენით ერეკლე II-მ პეტერბურგში ოფიციალურად გაგზავნა „თხოვნის პუნქტები", რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორია, როგორიცაა ახალციხის საფაშო, დაუბრუნდეს საქართველოს.

1783 წ. გეორგიევსკის ციხეში ხელმოწერილი იქნა ტრაქტატი საქართველოზე რუსეთის მფარველობის შესახებ. ამ ტრაქტატის მეხუთე პუნქტში ნათქვამი იყო, რომ პირველ შესაძლებლობისთანავე რუსეთი დაუბრუნებს საქართველოს თურქების მიერ მიტაცებულ მიწებს.

სულეიმან-ფაშამ, რომელსაც სურდა პორტასაგან დამოუკიდებელი ყოფილიყო და ამასთანავე არ სურდა ერეკლე II-ს დაქვემდებარებოდა, აგრეთვე ფრთხილობდა რა, რომ ახალციხის საქართველოსთან შეერთების შემთხვევაში მის საგვარეულოს არ დაკარგვოდა ამ მხარის მემკვიდრეობითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართვის უფლება, მოისყიდა დაღესტნელი ოსები და დაავალა მათ საქართველოზე დარბევითი შემოსევების განხორციელება. ერეკლე ხედავდა, რომ რუსეთის დაპირებებით არაფერი გამოდიოდა და 1786 წ. 15 სექტემბერს მან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო ახალციხის საფაშოსთან. ამ შეთანხმებას სულეიმან-ფაშა თავის გამარჯვებად თვლიდა, რადგან ქართლ-კახეთის მეფე თვითონ ცნობდა მას საფაშოს კანონიერ მფლობელად. პოზიციები ისე შეიცვალა, რომ სულეიმან-ჯაყელი ერეკლეს სთხოვდა შუამდგომლობას რუსეთთან, რათა მომავალ ომში, რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში ახალციხის მხარე შესულიყო მის შემადგენლობაში. 1791 წ. სულეიმან-ფაშა გარდაიცვალა. საფაშოში არეულობა დაიწყო. ტახტისთვის ბრძოლა დაიწყო ორმა რეალურმა პრეტენდენტმა. ორივე ჯაყელების საგვარეულოდან იყვნენ: სულეიმან-ფაშას შვილი შერიფი და ხასან-ფაშას შვილი ისააყ II. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ სტამბოლმა ფაშად აღიარა ისააყ II. არტანუჯის მცირე ფაშა შერიფი ისააყს არ დაემორჩილა, მაშინ მის წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა ფოცხოვის ბეგი ამილახვართა საგვარეულოდან, რომელმაც 1791 წ. აიღო არტანუჯი. 1792 წ. შერიფმა ისევ დაიბრუნა არტანუჯი და ახალციხეზე გაემართა. ისააყ-ფაშამ დახმარებისათვის მიმართა ერეკლე II-ს. მან შეცვალა თავისი მთავარსარდალი, მის მაგივრად დანიშნა სარიკეხა (გვარად კაკაჩაშვილი), მაგრამ შერიფ-ფაშასთან ბრძოლაში იგი დამარცხდა. შერიფი გაემართა ახალციხისაკენ და მივიდა სოფელ სხვილამდე. 1792 წ. დამარცხებულმა ისააყ-ფაშამ დატოვა ახალციხე. შერიფ ჯაყელი შევიდა ქალაქში და სულ მალე დამტკიცებულ იქნა ფაშად. თუმცა მან ვერ შეძლო საშინაო და საგარეო საქმეების მოგვარება. მას არ დაემორჩილა აჭარისა და ლივანის მოსახლეობა. 1796 წ. შერიფი შეცვალეს და გადაიყვანეს შორეულ ალანის ფაშად. ახალციხის ფაშად დაინიშნა იუსუფ-ფაშა ჯაყელების საგვარეულოდან. სულ მალე ისიც შეცვლილ იქნა თავისი ბიძაშვილით შერიფ-საბუდ-მეხმედ ფაშათი, რომელიც ახალციხეში შემოვიდა 1797 წელს. მას მხარს უჭერდნენ აჭარის ბეგი სელიმ-აღა ხიმშიაშვილი და

აწყურის ბეგი სელიმ-აღა ყიფიანი. საბუდ-ფაშა იყო შედარებით გაწონასწორებული პოლიტიკოსი, თუმცა მისი ბრძანებით მოკლულ იქნენ შერიფ-ფაშას ბევრი მომხრეები. მან შეძლო ქართველ მეფეებთან და ფეოდალებთან უკეთესი ურთიერთობის დამყარება. მან გაათავისუფლა გამოსასყიდის გარეშე ქართლ-კახეთის მოსახლეობის წარმომადგენელი ქართველი ტყვეები (ქალები, მოზარდები და ბავშვები). ერეკლე II-თან კეთილმეზობლური განწყობილების მხარდასაჭერად საბუდ ფაშამ ორჯერ გაგზავნა თბილისში თავისი სამხედრო მეთაური სელიმ-აღა ყიფიანი (აწყურელი), რომელიც იქ საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა. სწორედ ამ დროს მესხეთის გათავისუფლებისათვის დაუღალავი ბრძოლებით გადაქანცული ერეკლე II გარდაიცვალა.

საბუდ-ფაშამ სტამბოლიდან მიიღო ბათუმის ფაშისა და ერზრუმის სერასკირის თანამდებობა. მაგრამ არ თვლემდა შერიფ-ფაშაც. იგი აწარმოებდა ბრძოლას სტამბოლში საბუდ-ფაშას წინააღმდეგ. გაიგო რა საბუდმა, რომ სტამბოლი აპირებდა ახალციხის ფაშად შერიფის გამოგზავნას, მან ზომები მიიღო და შეეცადა საქართველოს სამეფოს საშუალებით რუსეთს დაკავშირებოდა. 1800 წ. იანვარში ახალციხეში ჩამოვიდა რუსული ელჩობა, რომლის მიზანი იყო ყოველგვარი ვალდებულების გარეშე საბუდ-ფაშა გადმოებირებინა თავის მხარეზე. 1800 წ. ზაფხულს შერიფ-ფაშა შემოვიდა ახალციხეში, საბუდ-ფაშა იძულებული იყო გაქცეულიყო, მაგრამ შემოდგომას მან მაინც შეძლო შერიფის განდევნა. 1801 წლის იანვარში შერიფმა ისევ შეძლო ახალციხის დაბრუნება. ასე გრძელდებოდა 1802 წლამდე. საბუდ-ფაშა თავის სამხედრო მეთაურთან და დიპლომატთან სელიმ-აღა ყიფიანთან ერთად გაიხიზნა იმერეთში. შერიფმა დაქირავებული მკვლელის საშუალებით შეძლო საბუდის მოკვლა, რომელიც კვარის ციხეში იმყოფებოდა.

ფეოდალთა ხშირმა ბრძოლებმა ჯაყელების საგვარეულო იმდენად პარალიზებულჰყო, რომ მათ რეაგირებაც ვერ შეძლეს ისეთ მნიშვნელოვან მოვლენაზე, როგორიც ქართლ-კახეთის გაუქმება და მისი რუსეთთან შეერთება იყო. შექმნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მდგომარეობა თითქოს ითვალისწინებდა, რომ ამიერიდან თურქების განდევნის და მათ მიერ დაპყრობილი მესხეთის ნაციონალური პრობლემა მოიხსნებოდა და იგი იქცეოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ პრობლემად.

მესხეთის ამ პერიოდის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწედ ითვლებოდა სელიმ-აღა ყიფიანი, რომელიც აჭარის ბეგ – სელიმ ხიმშიაშვილთან ერთად იბრძოდა შერიფ-ფაშას წინააღმდეგ. ისინი შეერთდნენ შურის საძიებლად საბუდის მკვლელობის გამო და მმართველობის ხელში ჩასაგდებად. სტამბოლში შერიფ-ფაშას წინააღმდეგ აღძრული საჩივრების გამო სულთანმა გადაწყვიტა მისგან თავის დაღწევა და ყარსის ფაშას მისი მოკვლა დაავალა. ამ უკანასკნელმა ეს დავალება ვერ შეასრულა. 1802 წ. სელიმ ხიმშიაშვილი და სელიმ ყიფიანი შეუთანხმდნენ მეზობელ საფაშოებს და 2.500 მეომრით თავს დაესხნენ ახალციხეს. მოსახლეობამ მათ მხარი დაუჭირა და 17 ოქტომბერს ქალაქი აღებული იქნა. გამარჯვებულებს ეახლნენ ახალციხის სანჯაყების ბეგები, ასევე სელიმ ყიფიანის ვაჟი – ახმედი, რომელიც მანამდე ოლთისის ციხეს აფარებდა თავს. გაქცეულმა შერიფ-ფაშამ მოინდომა ოლთისის ციხეში გამაგრება, მაგრამ 1803 წ. მასზე იერიში მიიტანეს. ამრიგად ხიმშიაშვილი გახდა ახალციხის სამთუღიანი ფაშა.

შერიფ-ფაშა არ ისვენებდა, მან კავშირი დაამყარა საქართველოდან ირანში გაქცეულ ალექსანდრე ბატონიშვილთან (ერეკლე II-ის ვაჟიშვილთან), ამიტომ იგი არასასურველი გახდა რუსეთისთვისაც. სელიმ-აღა ყიფიანი, როგორც ადრე ერეკლე II-თან, ეხლაც მომხრე იყო ქართლის მფლობელებთან ურთიერთკავშირისა. მას ახლო კავშირი ჰქონდა ქართლში თავის ნათესავებთან და მეგობრებთან. სელიმ-აღა ყიფიანი 1797 წელს ახალციხიდან თბილისში იოსებ მიშკარბაშს წერდა: „შენმა გულმა იცის, რომ მე ერეკლეს ერთგული ვარ და მისთვის თავს დავდებ. თქვენ ყველა გაიგებთ რასაც ვიქმ“. თუმცა სელიმი მუსულმანი იყო, მაგრამ როგორც ჩანს, ქრისტიანობას მთლიანად არ ჩამოსცილებია, მძიმე წუთებში იგი წმინდა მარიამ ღვთისმშობელზე ლოცულობ-

და. როგორც საბუთებიდან ირკვევა, იგი ორ სახელს ატარებ-და. თავის ახლობლების წრეში მას მამისთვალს უწოდებდ-ნენ, ხოლო ოფიციალურ წრეებში იგი სელიმად იწერებოდა. მისი მეუღლე მარიამ მაჭავარიანი ქრისტიანი იყო. ქართული ორიენტაციის იყო მისი ვაჟიშვილიც, რომელზეც პ.ციციანოვი წერდა: „იგი ჭეშმარიტად ჩვენთვის თავგანწირული და ყველა ქრისტიანის ერთგული იყო“-ო.

მალე ორ სელიმს შორის გამწვავდა ურთიერთობა. საქმე იმაში იყო, რომ ხალხში სელიმ ყიფიანის მაღალი ავტორიტეტი მოსვენებას უკარგავდა სელიმ ხიმშიაშვილს და მას თავის შესაძლო მეტოქედ თვლიდა ფაშას თანამდებობაზე. ამ ეჭვიანობის საფუძველზე ხიმშიაშვილის განკარგულებით 1805 წლის 17 თებერვალს სელიმ ყიფიანი მოკლულ იქნა. ამ მკვლელობამ ხიმშიაშვილს ბევრი მტერი შესძინა. მის წინააღმდეგ დაიწყო ღია ბრძოლა სული-ბეგ ლივანელმა, რომელმაც ამის შესახებ მითითება მიიღო შერიფ-ფაშასგან, იგი ამ დროს ტრაპეზუნდის სერასკირის თანამდებობას ფლობდა. სელიმ ხიმშიაშვილს ეს მზაკვრული მკვლელობა თავის საკუთარმა შვილმაც არ აპატია. მდგომარეობა გამწვავდა. შერიფ-ფაშამ თავის ნებით მიატოვა ტრაპეზუნდის სერასკირის პოსტი, ეახლა თავის ბიძაშვილს – სული-ბეგ ლივანელს და დაიწყო ბრძოლა ახალციხის ფაშის თანამდებობისათვის. სული-ბეგის დახმარებით 1809 წელს მან დაიკავა ახალციხე. ხიმშიაშვილი გაიქცა აჭარაში, მაგრამ 1812 წ. მან ისევ ხელთ ჩაიგდო ახალციხე. შერიფ-ფაშა განაგრძობდა ბრძოლას. კონფლიქტი დამთავრდა 1815 წ., როდესაც სულთანის ბრძანებით ხიზატის ციხეში სელიმ ხიმშიაშვილს თავი მოკვეთეს და ახალციხის ფაშად ისტორიაში პირველად დანიშნული იქნა არაქართველი მემედ-რაშიდ-ბეგი. მესხეთის მოსახლეობაში უკმაყოფილება გაიზარდა. ახალმა ფაშამ დაიწყო ადგილობრივი მუსულმანების ჩამოცილება თანამდებობებიდან. მდგომარეობა თანდათან უფრო იძაბებოდა და ბოლოს და ბოლოს 1816 წლის გაზაფხულზე მესხეთში იფეთქა აჯანყებამ, რომელმაც მოსახლეობის ფართო ფენები მოიცვა. აჯანყების საბაბი გახდა სოფლებიდან მოსული ქართვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელ მუსულმანთა საჩივარი. ისინი ფაშას შესჩიოდნენ სოფ-ლებში ჩასახლებული ჯარის უწესობას და მისგან ითხოვდ-ნენ დაცვას. ფაშამ არ მიაქცია ყურადღება ატირებული ქალებ-ის ჩივილს; რადგან ქალები უკან არ იხევდნენ, გაბოროტე-ბულმა ფაშამ მათი გაგდება ბრძანა. დაბრუნებულ ქალებს გზაში შეხვდათ ქართველი სულეიმან-აღა, რომელიც მუშაობდა ციხე-სიმაგრეში. მას თან ოცდაათი ცხენოსანი ახლდა. ქალებმა მას მოუთხრეს მომხდარი ამბავის შესახებ, ისიც რომ სოფ-ლებში დაბანაკებული ჯარისკაცები არბევენ და ძარცვავენ მოსახლეობას. „დღეს ჩვენ ვართ ასეთ მდგომარეობაში და ხვალ ამ დღეში თქვენი ცოლები აღმოჩნდებიან“-ო უთხრეს მას. გაიგონა რა ეს სიტყვები, სულეიმან-აღა თავის ცხენოს-ნებთან ერთად შეუვარდა ფაშას, სტაცა მას ხელი და უყვირა: „წამოდი, შენ სასამართლოს წინ უნდა წარსდგე“-ო. რაშიდ-ბეგმა ბრძანა მისი დაპატიმრება, სულეიმან-აღამ იშიშვლა ხმალი და დაჭრა ფაშას სასახლის მცველები, ნაწილი იქვე დახოცა, ფაშა დააპატიმრეს. აჯანყებამ მთელი საფაშო მოიცვა. ყველა სანჯაყში გავრცელდა ხმა მომხდარის შესახებ. 16 მაისს ახალციხეში ჩამოვიდა ხერთვისის სანჯაყ-ბეგი აგზი-აჩუხი (იგივე მემედ-ბეგ ვაჩნაძე) და სხვებთან ერთად სათავე-ში ჩაუდგა აჯანყებას. 21 მაისს აჯანყებულები ქვაბლიანის სოფლებში შევიდნენ. იქვე დაბანაკებული 400 კაციანი თურქთა რაზმი განაიარაღეს და მათი მეთაური ვინმე ტოპალ სულია ახალციხეში წამოიყვანეს. აქედან გაუგზავნეს წერილი აჭარ-ლებს, რომელთა მიწა-წყალზე სელიმ ხიმშიაშვილის დასჯის შემდეგ ვინმე მახმუდ ტურანი თავნებობდა თავის დამსჯელ რაზმთან ერთად. ახალციხიდან წერდნენ: „მახმუდ ტურანმა ამოაგდო აჭარა და თუ თქვენ მას გაუშვებთ დაუსჯელად, ჩვენ იგივეს გვიქმს. ჩვენ, ახალციხელები, ავჯანყდით და მათს წინააღმდეგ გამოვგზავნეთ ჯარი, შეეცადეთ მას ზურ-გიდან დაარტყათ. თვითონ ცოცხლად აიყვანეთ“-ო. ამ წერ-ილმა მთელი აჭარა ფეხზე დააყენა. მახმად ტურანი, რომელ-საც 8.000-იანი ჯარი ჰყავდა, ორ ცეცხლშუა აღმოჩნდა. მძიმე ბრძოლაში თურქი მეთაური დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა, ხოლო მისი კორპუსი მთლიანად განადგურდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიგო რა მომხდარის შესახებ არზრუმის სერასკირმა ბაბა-ფაშამ, მაშინვე გამოგზავნა თავისი უფროსობა და შემარიგებელი ტონით მოითხოვა გადაეცათ მისთვის ტყვედ აყვანილი რაშიდ-ბეგი და მახმუდ ტურანი, თითქოს მათი განსჯის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ომით დაიმუქრა. მისი მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს. აჯანყებულები ავიდნენ ახალქალაქში და იქ თავისი ძალაუფლება დაამყარეს. ამ დროს ბაბა-ფაშა თავის ჯართან ერთად სოფ. ცურცქაბს მიუახლოვდა და შეჭრას აპირებდა. აგზი-აჩუხ მემედბეგი ვაჩნაძე კი შენაერთით მიუახლოვდა სოფ. დიგორს და იქ გაჩერდა. 1816 წ. 13 აგვისტოს მოხდა ბრძოლა, სადაც აჯანყებულები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. ბაბა-ფაშა იქვე დაბანაკდა და 26 აგვისტოს აიღო ახალციხე. ამით მესხეთის აჯანყება დამთავრდა.

1816 წლის აჯანყება იყო სტიქიური – სახალხო განმათავისუფლებელი. მან მოიცვა მოსახლეობის ყველა ფენები. ეს იყო ქართველ-მუსულმანთა ბრძოლა თვითმყოფადობის, ნაციონალური კულტურის, საუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნებისათვის. მასში მონაწილეობდნენ სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, აჭარა, შავშეთი. იმ დროს ყველა რეგიონში კარგად იყო შენარჩუნებული ქართული ენა და უძველესი ქართული ზნე-ჩვეულებანი. დამპყრობლებისგან გათავისუფლებისათვის აჯანყების ცენტრს წარმოადგენდა ახალციხე. 4 ოქტომბერს აჯანყებამ მიაღწია გადამწყვეტ მომენტს, მაგრამ იგი არ იყო მიყვანილი ბოლომდე. საქართველოს მთავარმართებელი პ. ციციანოვი (ციციშვილი) ცდილობდა ახალციხის საკითხის რეგულირებას მოლაპარაკების გზით. ამ მიზნით იგი ურთიერთობდა სელიმ ხიმშიაშვილთან და შერიფ ფაშასთან, მაგრამ ეს მცდელობა წარმატებით არ დამთავრებულა. 1801-1812 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ახალციხის საფაშოს შეერთება ისევ იდგა საქართველოს დღის წესრიგში. კავკასიის ფრონტის მთავარსარდლად თურქეთის მხრიდან დანიშნული იქნა ერზრუმის სერასკირი იუსუფ ზიაფაშა, ხოლო რუსეთის მხრიდან გუდოვიჩი.

მოსალოდნელი იყო, რომ თავისი გეგმების განხორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციელებისას გუდოვიჩი გამოიყენებდა მესხ-ქრისტიანების და მესხ-მუსულმანების ნაციონალურ მდგომარეობას და შეეცდებოდა მათ დაიმედებას, თუმცა მან ეს არ შეასრულა არც ერთის და არც მეორის მიმართ. გუდოვიჩის სიტყვა, რომლითაც მან 1807 წ. 3 მაისს ბრძოლის წინ მიმართა ახალციხის მოსახლეობას, იწყებოდა მუქარით და თავდებოდა მუქარით; „მე – წერდა იგი – შევდივარ ახალციხის მხარეში ომისათვის, როგორც მტრის მიწაწყალზე". აქვე გენერალი პირდებოდა სიცოცხლის და საკუთრების შენარჩუნებას მათ, ვინც ჩაბარდებოდა ბრძოლის გარეშე. მაგრამ ეს საქმეს მაინც არ ცვლიდა. 3 მაისს თაფარავნის ტბასთან მან გადაჭრა საზღვარი, 6 მაისს მისი კორპუსი დაბანაკდა ახალქალაქიდან ორ კილომეტრზე. ახალქალაქის კომენდანტს გუდოვიჩმა ულაპარაკო კაპიტულაცია მოსთხოვა. კომენდანტმა ხიმშიაშვილმა – სელიმის ძმისშვილმა, რომელსაც გარნიზონი ემორჩილებოდა 1.500 კაცით, ულტიმატუმი უარყო. გუდოვიჩმა ბრძანა ციხის შტურმი, თუმცა ამისთვის



ხანძთა

არ იყო მზად. ამ დროს გარნიზონს დასახმარებლად მოუსწრო თვითონ სელიმ ხიმშიაშვილმა და ხუთსაათიან ბრძოლაში ახალციხელებმა უმნიშვნელო დანაკარგით 1.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურეს. ამრიგად, 1807 წლის ბრძოლები ახალციხეზე მარცხით დამთავრდა. მეორე მცდელობა ახალციხის მხარის შემოერთებისა განხორციელდა 1810წ.-ის მეორე ნახევარში რუსი მხედართმთავრის – გრაფ ტორმასოვის მიერ, რომელიც თვლიდა, რომ მიზნის მისაღწევად საკმარისი იყო მცირე შეტევა. 1810წ. 25 ოქტომბერს ბრძოლის წინ მან მოსახლეობას პროკლამაციებით მიმართა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იგი მოდის არა მხარის გასანადგურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლად, არამედ მხოლოდ წესრიგის დასამყარებლად. გადავიდა რა საფაშოს საზღვარზე, იგი 14 ნოემბერს დაბანაკდა ახალციხესთან სოფ. ვალეში. მალე მას შემოუერთდა ჯავახეთის გზით გადმოსული ქართული მილიციის მოხალისეთა რაზმი. 15 ნოემბერს ტორმასოვის მიერ ახალციხე დაკავებულ იქნა. დაიწყო მძიმე ბრძოლები. 21 ნოემბრისათვის რუს ჯარისკაცთა შორის თავი იჩინა შავმა ჭირმა. 22 ნოემბერს ქალაქში განხორციელდა საარტილერიო შტურმი, რომელიც ოთხი დღე გაგრძელდა. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული შერიფ-ფაშას მიერ და მიუხედავად მრავალრიცხოვანი ნგრევისა და ხანძრისა, იგი დამორჩილებას არ აპირებდა. პირიქით, დაბანაკებულები ხშირად კონტრშეტევას აწარმოებდნენ, რაც რუსი ჯარისკაცების დიდ დანაკარგს იწვევდა. ტორმასოვის ჯარს სურსათი და იარაღი უმთავრდებოდა და რადგან მძიმე მდგომარეობას ემატებოდა შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელების საშიშროება, მან შეწყვიტა საომარი მოქმედება და უკან გაბრუნდა. ახალციხის სოფლებს მან შეუსია პატარა რაზმები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ მოსახლეობის ძარცვით სურსათის მოპოვება. შერიფ-ფაშას მეომრები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ მოწინააღმდეგეს და მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ. ყველაზე მძიმე შედეგი ამ ბრძოლებისა აღმოჩნდა ეპიდემია, რომელიც ჯარმა შემოიტანა და გაავრცელა ქართლ-კახეთში. მან ყველაზე მეტად ახალციხე დააზიანა. თუმცა იმერეთშიც მოსახლეობის ნახევარი იმსხვერპლა. მათ შორის ეპიდემიის მსხვერპლი გახდა ახალციხეში ემიგრირებული, საქართველოს სამეფოს უკანასკნელი სახელმწიფო კანცლერი, გამოჩენილი პოლიტიკური მოაზროვნე და მოღვაწე – სოლომონ ლიონიძე. ასე დამთავრდა 1810წ. ახალციხის შემოერთების ეს მცდელობაც.

1828 წ.ის დასაწყისში თურქმენჩაის ხელშეკრულებით დამთავრდა რუსეთ-თურქეთის ომი. გამარჯვებული პასკევიჩი თავრიზიდან თბილისში ბრუნდებოდა, როდესაც მას გზაში გადასცეს საიდუმლო დეპეშა, რითაც აუწყებდნენ თურქეთთან ომის დაწყება. 28 აპრილს პეტერბურგში გამოქვეყნდა მანიფესტი ომის დაწყებასთან დაკავშირებით. იხსნებოდა ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტი: ბალკანეთის და კავკასიის. კავკასიის ფრონტზე ემზადებოდა ორივე მხარე. თურქებმა მთელ თავისი სამხედრო ძალას თავი მოუყარეს ერზრუმის სასერასკიროში. მთელი კავკასიის სარდლად დანიშნული იყო ყოფილი დიდი ვეზირი, სამთუღიანი სერასკირი – გალიბ-ფაშა, მის მოადგილედ კი სამთუღიანი ქესა მეხმედ-ფაშა. სტამბოლიდან აზიის ყველა ვილაიეთთა საფაშოებს დაეგზავნათ ფულთან ერთად ბრძანებების ფირმანები, რათა ჯარი შეტევითი მოქმედებისათვის მომზადებულიყო. აგრეთვე გაიცა განკარგულებები დამატებითი ჯარის შეგროვებისა და ციხეების შეკეთების შესახებ. როდესაც ახალციხეში მიიღეს გალიბ-ფაშას ბრძანება ჯარის შეგროვების შესახებ, ომისაგან განაწამებმა ხალხმა შეტევაზე უარი განუცხადა იზმაილ-ფაშას. მთავრობამ ომის წინ შიშისგან ვერ შეძლო მათი დასჯა. თურქებმა გააძლიერეს გარნიზონები და სასაზღვრო ციხეები. მათი მთავარი ძალები 40.000 კაცის შემადგენლობით უნდა შეგროვილიყო ყარსთან და იქიდან დაძრულიყო თბილისისაკენ. ახალციხის ფაშას – იზმაილს ევალებოდა იმერეთში შეჭრა და ბათუმიდან და ქობულეთიდან წამოსულ რაზმებთან შეერთება, ხოლო შემდეგ გზის გაგრძელება ჩრდილოეთიდან თბილისისაკენ.

კავკასიის კორპუსის მხედართმთავრის – პასკევიჩის 15.000-იანი ჯარი შედგებოდა ყველა წარმოშობის ხალხისგან, მათ შორის ქართველებისგანაც, რომელის რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. კორპუსის ამოცანა იყო მტრის ყურადღება ჩამოეცილებინა დუნაის ფრონტისაგან. ამისათვის საზღვრების გასამაგრებლად საჭირო იყო რამოდენიმე ტერიტორიის, მათ შორის ახალციხის საფაშოს დაპყრობა. გენშტაბის ოფიცერის ისკრიცკის მიერ წინასწარ იქნა აღწერილი ახალციხის და ყარსის საფაშოები და შედგენილ იქნა რუკები. პასკევიჩის ტაქტიკა შეტევითი იყო. 1828წ. 14 ივნისს გუმრის ციხიდან დაიძრა რუსული ნაწილები. 8 საათზე მათ გადაკვეთეს არფა-ჩაი, გაიარეს უკაცრიელი სოფლები და შევიდნენ სოფ. მუშკოში, რომელსაც იცავდნენ თურქი ცხენოსნები. აქ დაიწყო ბრძოლა, თურქი ცხენოსნები დამარცხდნენ. რუსული ნაწილები დაბანაკდნენ ყარსთან ახლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. აზატხევში. 20 ივნისს შევიდნენ ყარსში, ხოლო 23 ივნისს იგი შტურმით აიღეს. 6.000-ზე მეტი კაცი ტყვედ იქნა აყვანილი, მათ შორის გარნიზონის მეთაური მეხმედ ემინ-ფაშა. ყარსის შემდეგ გამიზნული იყო ახალქალაქის და ახ-ალციხის აღება. მტრისთვის გზის აბნევის მიზნით პასკევიჩ-მა თავისი ჯარი გამოიყვანა ერზრუმის გზაზე, ხოლო 18 ივლისს მოულოდნელად მოაბრუნა ახალციხისაკენ. 23 ივ-ლისს კორპუსის ნაწილები ახალქალაქის ციხეს მიუახლოვდ-ნენ. გარნიზონმა დამორჩილებაზე უარი თქვა. მათ რუს პარ-ლამენტარებს განუცხადეს: „ჩვენ არ ვართ არც ერევნელები და არც ყარსელები, ჩვენ ახალციხელები ვართ, ჩვენ არ გვახლავს არც ცოლები და არც საკუთრება, მოვედით სა-ბრძოლველად და ჩვენ დავიცავთ ქალაქს, ჩვენ 100-მა კაცმა გადავწყვიტეთ ქალაქის კედლებთან დავიღუპოთ, თქვენ კი არ ჩაგბარდეთ“-ო. ახალქალაქის დამცველი ყველა იყო ქართვე-ლი მაჰმადიანი. გარნიზონის მეთაური იყო ფარხად-ბეგ ხიმ-შიაშვილი. 23 ივლისს მებრძოლებმა ფიცი მისცეს ერთმა-ნეთს დაუმორჩილებლობაზე. 24 ივლისს გაისმა რა მინა-რეთიდან ზარის ხმა, ციტადელიდან დაიწყო გალობა ყურა-ნის ტექსტზე, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა. რუსულმა კორპუსმა მოქმედება დაიწყო, იგი 18 ქვემეხიდან ერთდროუ-ლად ესროდა ციტადელს. რამოდენიმე ხანში პასკევიჩმა ისევ გაგზავნა პარლამენტარები და მებრძოლებს დამორჩილება მოსთხოვა. როდესაც სროლის ხმით დაყრუებული, განაწამე-ბი და დაჭრილი მეომრები მზად იყვნენ ჩაბარებოდნენ მტერს, მოედანზე გამოვიდა გარნიზონის მეთაური ფარხად-ბეგ ხიმ-შიაშვილი და მათ ფიცი შეახსენა. განახლდა სასტიკი ბრძო-ლა, მაგრამ სულ მალე ყველაფერი დამთავრდა – გარნიზონი დაეცა; მხოლოდ მცირე ნაწილი გადავიდა კედელზე დასავ-ლეთი მხრიდან და ხერთვისისკენ გაიქცა. მათ ფეხდაფეხ მიჰყვა შირვანის პოლკი და დიდი ნაწილი გაანადგურა. 300 დაჭრილი კაცი ტყვედ ჩავარდა. ციტადელში აღრიცხეს 400 მოკლული, რომელთა შორის იყო ახალციხის ყოფილი ფა-შას სელიმ ხიმშიაშვილის შვილი ფარხად ხიმშიაშვილი. ტყვეთა შორის აღმოჩნდა ახალქალაქის სანჯაყის ბეგი მუთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგ ფალავანდიშვილი და მასთან ერთად 16 საპატიო ჩინოვნიკი, 10 – ბაირახტარი. პასკევიჩმა ციხის კომენდანტად და ახალციხის სანჯაყის მეთაურად დანიშნა პოდპოლკოვნიკი დრეშერნი, თვითონ კი დაიძრა ხერთვისისაკენ. ხერთვისში უკვე იცოდნენ ახალქალაქის ბრძოლების შესახებ. პოლკოვნიკმა რაევსკიმ გარნიზონს წინადადება მისცა დამორჩილების შესახებ. ორი საათის განსჯის შემდეგ პოლკოვნიკს ციხის გასაღები გადასცეს. ხერთვისის აღების შემდეგ პასკევიჩმა გასცა ბრძანება № 100, რომლის ბოლო ნაწილი იუწყებოდა, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ კორპუსი მიაღწევს სახელგანთქმული ახალციხის მისადგომებს. აქ პასკევიჩი ელოდა შევსებას – ქართულ მილიციას (მოხალისეებს), რომლებიც უნდა შემოსულიყვნენ ბორჯომის ხეობიდან და გოდერძის უღელტეხილით იმერეთიდან.ბრძოლის მოლოდინში ახალციხის ვილაიეთის მთელი მუსულმანური მოსახლეობა შეიარაღდა. გამოცხადდა ყველა მამაკაცთა მობილიზაცია 12-დან 60 წლამდე. ომის წინ ახალციხის გარნიზონის რიცხვი 15.000 აღწევდა. ახალციხისკენ დაიძრა სოღანლუღის მთებთან მდგარი 30.000 კორპუსი თვით ქესა მეხმედ-ფაშას მეთაურობით. ახალციხის გარნიზონის უფროსი ახმედ-ფაშა არწმუნებდა ქესა-ფაშას, რომ მისი დახმარების გარეშეც შეძლებდა რუსეთის არმიასთან გამკლავებას. 4 აგვისტოს ქესა-ფაშას ნაწილები შევიდნენ ახალციხეში. 5 აგვისტოს თურქი ცხენოსნები გადავიდნენ შეტევაზე, მაგრამ დამარცხდნენ და დაიხიეს უკან. 7 აგვისტოს რუსეთის არმიის კორპუსმა მიიღო შევსება. 8 აგვისტოს რუსული არმიის ნაწილები გადავიდნენ შეტევაზე. მათი ნაწილი ციხეს მიუახლოვდა წყრუთის და წირეს გზებიდან, მეორე ნაწილმა დაიკავა მარდის შემოგარენი. დაიწყო სასტიკი ბრძოლა. დანაკარგი ორივე მხრიდან დიდი იყო. დაიჭრა ქესა მეხმედ-ფაშა. 11 აგვისტოს ამიერკავკასიის კორპუსმა დაიწყო ციტადელის და ქალაქის ბომბარდირება. 12 აგვისტოს პასკევიჩმა წინადადება მისცა გარნიზონს დამორჩილების შესახებ. მოსალაპარაკებლად წარიგზავნა გუთიბეგ ფალავანდიშვილი (ახალქალაქში ტყვედ აყვანილი) და კაპიტანი ყორღანოვი. გარნიზონიდან მოკლედ უპასუხეს: „ჩვენ

შორის შუამავალი მხოლოდ ხმალი იქნება“. ბრძოლები ისევ განახლდა. ქალაქის შტურმი დაიგეგმა 15 აგვისტოს დღის 4 საათისთვის. ორკესტრის თანხლებით პირველებმა შტურმი დაიწყეს შირვანის პოლკის (პოლკს ეს სახელწოდება შირვანის აღების ნიშნად ეწოდა) მებრძოლებმა. მოწინააღმდეგებმა ცეცხლი გახსნეს. მოკლულთა შორის იყო პოლკოვნიკი ბოროდინი, მაიორი რაევსკი, „პორუჩიკი“ ბეჟანიშვილი და სხვა. შეიარაღებული მოქალაქენი გმირულად იცავდნენ ქალაქს, როდესაც მდგომარეობა კრიტიკული შეიქმნა, ბრძოლაში ჩაებნენ მამაკაცის ტანსაცმელში ჩაცმული ქართველი მუსულმანი ქალები.

ახალციხის ბრძოლებში პასკევიჩმა გამოიყენა იარაღის ერთერთი სახეობა – ბრანდეკუგელი. იგი წერდა „როდესაც ჩემს მიერ გასროლილმა ყუმბარამ დაწვა ერთი სახლი, მე ვისარგებლე შემთხვევით და ვბრძანე მთელი ქალაქის გადაწვა“. ხანძარმა მოიცვა ქალაქის კვარტლები. ამოვარდა ქარი, რამაც ცეცხლი გააძლიერა. ქალაქის დამცველები იძულებულები გახდნენ უკან დაეხიათ. პასკევიჩის აზრით თვითოეული სახლის შტურმით აღებას, სჯობდა მათი დაწვა. სახლებში ცეცხლი ეკიდა ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს. 15 აგვისტოს, შუადღეს, როდესაც გამძვინვარებულმა ხანძარმა ქალაქის შუა რაიონს მიაღწია, ალმოდებული სახლებიდან ცვივდებოდნენ შეშინებული ქალები და ბავშვები. ისინი რუსი ნაწილების მხარისკენ მირბოდნენ, იქიდან კი ტყვიების ნაკადი ხვდებოდათ... ხანძარმა მოიცვა კათოლიკური კვარტალიც. ხიფათი შეექმნა რუს ჯარისკაცებსაც. ქალაქი ჯოჯოხეთს დაემსგავსა. 25 აგვისტოს კავკასიის კორპუსის ნაწილებმა ციტადელი დაიკავეს. ახმედის მეჩეთის მინარეთიდან ჩამოხსნეს ნახევარმთვარე, რომელიც დაზიანებული იყო და მის ნაცვლად ჯვარი აღმართეს. 26 აგვისტოს ღამე ქესა მეხმედფაშამ პარლამენტარები გაგზავნა მოსალაპარაკებლად, ხუთი დღის შესვენების მოთხოვნით. პასკევიჩმა მათ მხოლოდ 5 საათი მისცა დამორჩილებისათვის. ერთი საათის შემდეგ თურქი მეთაური თანახმა გახდა დამორჩილებაზე იმ შემთხვევაში, თუ გარნიზონს უფლებას მისცემდნენ შეიარაღებული წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიყო. პასკევიჩი ამ მოთხოვნას დათანხმდა, კაპიტულაციის პირობებზე მოწერილი იქნა ხელი. პასკევიჩს ჩააბარეს ციხის გასაღები.

16 აგვისტოს დილის 8 საათზე ქესა მეხმედ-ფაშა და სამთუღიანი ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი – ახალციხის საფაშოს გარნიზონის მეთაური გაემართნენ არტაანში. მათ აგრეთვე გაყვა დიდი რაოდენობა უსახლკაროდ დარჩენილი ახალციხელებისა.

17 აგვისტოს პასკევიჩი საიმპერატორო კარს ატყობინებდა, რომ ნაცრად ქცეულ ახალციხედან მას აქვს პატივი მის უდიდებულესობას მოახსენოს მთელ წინააზიაში ცნობილი ქალაქის დაპყრობა.

ახალციხის აღების შემდეგ ქალაქის ქუჩებიდან აკრეფილი იქნა 3.000 მოკლული მოქალაქე, მათ შორის 100-ზე მეტი ქალი იყო მამაკაცის ტანსაცმლით. ახალციხელი ივანე გვარამაძე წერდა: „ვერ გატეხეს რა ახალციხე, იგი ცეცხლს მისცეს... ქალაქი ნაცარ-ტუტად აქციეს. ამ სურათის შემხედვარეს მტერსაც კი აეტირებოდა“.

ახალციხის აღება შეფასებული იქნა როგორც უდიდესი გამარჯვება და დღესასწაულად აღინიშნა იმპერიის მთელ რიგ ქალაქებში. ამ მოვლენასთან დაკავშირებით პასკევიჩმა ბრილიანტებით შემკული ანდრია პირველწოდებულის ორდენი მიიღო, აგრეთვე პირველი ხარისხის წმინდა გიორგისჯვარი და ფელდმარშალის წოდება. სულთანმა ახალციხეში დამარცხების გამო თანამდებობიდან გაათავისუფლა, ხოლო შემდეგ დააპატიმრა გალიბ-ფაშა. ასევე დაპატიმრებულ იქნენ ახალციხის ბრძოლების მეთაური ქესა მეჰმედ-ფაშა და ახალციხის სამთუღიანი ფაშა – ახმედ ხიმშიაშვილი. რამოდენიმე თვის შემდეგ გალიბ-ფაშა ციხეში გარდაიცვალა. გენერლების ასეთმა მკაცრმა დასჯამ აღშფოთება გამოიწვია რუს ხელისუფალთა შორის. პასკევიჩმა საჭიროდ ჩათვალა გამოსარჩლებოდა გენერლებს. იგი წერდა სულთანს, რომ „რუსულმა ჯარმა დაამარცხა მოწინააღმდეგე არა გაბედულებით, არამედ შეიარაღების, ევროპული დისციპლინის და განსწავლულობის უპირატესობის წყალობით. რაც შეეხება გენერლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე სასტიკად დასჯას, ეს შეურაცხყოფად მიმაჩნია“.

ახალციხის აღების შემდეგ, რუსეთის არმიის გადაადგილებას არაფერი აღარ უშლიდა ხელს. ქალაქების უმრავლესობა უბრძოლველად ჩაბარდა მათ. ამრიგად 1828 წ. აგვისტოს ახალციხის საფაშო საბოლოოდ დაეცა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში საქართველოს უამრავი ტანჯვა და უბედურება მოუტანა. ჯაყელების საგვარეულო მას 600-ზე მეტ წელს ფლობდა. თავიდან ეს უძლიერესი ფეოდალები განაპირა მხარეთა მფლობელებად ითვლებოდნენ, ე.ი. ფეოდალებად, რომლებიც სარგებლობდნენ დიდი უფლებებით, შეეძლოთ ეწარმოებინათ მომგებიანი ომები და ჰქონოდათ კავშირები მსოფლიოს უცხო მიწა-წყლის მფლობელებთან. შემდეგ მონგოლთა მძიმე შემოსევების პერიოდში ისინი შევიდნენ მონგოლთა მფარველობის ქვეშ და ზურგი აქციეს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. საბოლოოდ მათ თავისი სამფლობელო სამცხე-საათაბაგო დანარჩენ საქართველოს ჩამოაცილეს და საქართველოს მტერზე – თურქეთზე დამოკიდებული გახადეს. XVII ს.-ში ეს საგვარეულო და მისი სამფლობელო ფეოდალურმა სეპარატიზმმა თურქულ მონობას აზიარა. დაიმორჩილეს რა ქვეყანა, თურქებმა ოდესღაც ამაყი მესხი ფეოდალები დაიყოლიეს და აიძულეს შეეცვალათ რელიგია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კარგავდნენ სამფლობელოებს და პრივილეგიებს. სულ მალე ქართველი ფეოდალები იქცნენ სტამბოლის მიერ დანიშნულ ჩინოვნიკებად – რენეგატ ფაშებად. ისინი მოგვიანებით იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა ამჯერად სუბიექტური იყო და შორს იდგა ეროვნული პოზიციისაგან; თავიდანვე განწირული იყო დასამარცხებლად. ეროვნება მათ მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, როდესაც დაკარგეს ძალაუფლება. ჯაყელების გვარმა და ხელისუფლებამ იარსება 1828 წ-მდე, რის შემდეგაც იგი ისტორიის არენიდან საერთოდ გაქრა. დასაყრდენის გარეშე დარჩენილი ჯაყელები თურქეთში გადაბარგდნენ. მათი ტახტი და გერბი ფელდმარშალმა პასკევიჩმა თან წაიღო, როგორც ახალციხის ბრძოლებთან დაკავშირებული მოგონება და გაგზავნა თავის მამულში – მოგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევში, სადაც დღემდე ინახება მუზეუმში.

ადრიანოპოლის სამშვიდობო მოლაპარაკების ძალით 1829 წელს რუსეთმა შეიერთა დაპყრობილი ახალციხის საფაშოს მხოლოდ ნაწილი – 24 სანჯაყიდან მხოლოდ 10. იგი შედგებოდა ძირითადად ისტორიული სამცხეს კუთვნილი მიწებისაგან (ეხლანდელი ადიგენის, ახალციხის და ნახევარი ასპინძის რაიონები) და ჯავახეთისაგან (ახლანდელი ასპინძის მეორე ნახევარი, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონები). ადრიანოპოლის ზავის პირობები არ შეესატყვისებოდა ომის დროს რუსული არმიის მიერ მიღწეულ ფაქტიურ წარმატებებს და არც ისტორიულ სამართლიანობას. დაპყრობილი მესხეთის დიდი ნაწილი ისევ რჩებოდა თურქეთს. მოლაპარაკების მე-13 პუნქტის მიხედვით განსაზღვრული იქნა ხალხის გადასახლების ვადა 18 თვით. ამ დროის განმავლობაში გამაჰმადიანებული მოსახლეობა უნდა გამგზავრებულიყო და დაბინავებულიყო ერთმორწმუნე თურქეთის მიწაწყალზე. რელიგიურ საფუძველზე ამ „ნებაყოფლობითი“ გადასახლების პროპაგანდა იყო დანაშაულებრივი აქტი მუსულმანური სამღვდელოების მხრიდან, მაგრამ უფრო მეტი დანაშაული იყო ამ პროპაგანდის წამქეზებელი პოლიტიკა რუსეთის ადმინისტრაციის მხრიდან. მაჰმადიანები ჩქარობდნენ გაეყიდათ მიწები დათქმულ ვადაში. ქართველ წინაპართა სისხლით გაჟღენთილი წმინდა მიწები უღმერთოდ იყიდებოდა არაქართული ნაციონალობის მარკიტანტებზე, მეფის ჩინოვნიკებსა და სპეკულანტებზე. თურქეთის მთავრობა მკაცრად მოითხოვდა მუსულმანთა გადასახლებას თურქეთში. ცარიზმი თავის მხრიდან დაინტერესებული იყო სახელმწიფო მიწების დიდი ფონდის შექმნით. ქართველ მაჰმადიანთა ერთი ნაწილი გამოფხიზლდა და გადაწყვიტა უარი ეთქვა გადასახლებაზე და მიწის დატოვებაზე უცხო ელემენტებისათვის. მალე ცნობილი გახდა, რომ გადასახლებულთა დიდი ნაწილი ნანობდა ამ საბედისწერო ნაბიჯს და ცდილობდა უკან დაბრუნებას, მაგრამ ახალი ხელისუფალნი რამოდენიმე თვის წინ გადასახლებულ ხალხს იარაღის ძალით უწევდნენ წინააღმდეგობას. მხოლოდ პატარა ნაწილმა შეძლო გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარვით, ტანჯვით გაერღვია კორდონი და წინაპრების მიწას დაბრუნებოდა. ამ გადასახლების დროს ყველაზე მეტად ახალქალაქის და ხერთვისის სანჯაყები დაზიანდა. ჯავახეთი თითქმის მთლიანად დაიცალა ქართველი მოსახლეობისგან და შეიქმნა შესაძლებლობა კოლონისტების ჩამოსასახლებლად. ახალმა ადმინისტრაციამ არ დააყოვნა ესარგებლა ამ შემთხვევით და 1830 წ. ჯავახეთში ჩამოასახლა 35.000 სული სომეხი ლტოლვილი არზრუმის მხრიდან.

როგორი იყო მოსახლეობის რიცხობრივი შემადგენლობა მესხეთში ომამდე? როგორი ცვლილებები მოხდა მასში ომის შედეგად, განსაკუთრებით რუსეთთან შემოერთებულ სამცხე-ჯავახეთში?

ვალეს ეკლესია. აღმოსავლეთის ფასადის რელიეფი. ღვთისმშობელი

ომის დროს დაიღუპა შემოერთებული ტერიტორიების მოსახლეობის ერთი მეხუთედი ნაწილი. ნახევარზე მეტი გადასახლდა თურქეთში. ამრიგად ომის შემდეგ აქ განაგრძობდა ცხოვრებას ომამდელი მოსახლეობის დაახლოებით მესამედი. თურქეთის ანგარიშით 1828 წლისათვის ახალციხის საფაშოში ცხოვრობდა 34.283 ოჯახი, ე.ი. დაახლოებით 140.000 მამაკაცი, ხოლო საერთო რიცხვი მოსახლეობისა შეადგენდა 280.000 კაცს. ამ მონაცემებიდან მნიშვნელოვნად განსხვავდება ფრანგი მოგზაურის დიუბუა დე მონპერეს მონაცემები, რომელიც თვლიდა, რომ საფაშოში რუსეთთან შემოერთებამდე ცხოვრობდა 34.000 ოჯახი, ე.ი. 136.000 მამაკაცი, ხოლო მთელი მოსახლეობა უდრიდა 272.000 სულს. ამ რიცხვის 200.000-ით შემცირების შემთხვევაში თვითოეულ სანჯაყში საშუალოდ მოდის 8.500 სული. ცნობილია, რომ ყველაზე მჭიდრო მოსახლეობა ახალციხის სანჯაყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბზე მოდიოდა – თვით ახალციხესა და ხერთვისზე. ერთერთ დოკუმენტის მიხედვით 1828 წელს მხოლოდ ახალციხის სანჯაყში ცხოვრობდა 39.000 კაცი. სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს, რომ შემოერთებულ ცხრა სანჯაყში მიახლოებით ცხოვრობდა 76.000 სული, თუ მას დავუმატებთ ახალციხის სანჯაყის და ქალაქის ყველაზე მცირე 30.000 კაცს, გამოდის რომ ომამდე სამცხესა და ჯავახეთში ცხოვრობდა სულ 10.6000 კაცი. ომის შემდეგ კი აქ დარჩა მხოლოდ 45.000 სული, რომლის დიდ ნაწილს ქართველი მაჰმადიანები შეადგენდნენ.

1828 წლის 16 აგვისტოს ქალაქის აღებისთანავე, ახალციხის საფაშოს დაპყრობილი ნაწილებისათვის შეიქმნა დროებითი მმართველობა გენერალ თავად ვასილ ბებუთოვის (ეროვნებით სომეხი) მეთაურობით. იგი ითვლებოდა როგორც სამოქალაქო ხელისუფლად, ასევე დარჩენილი ჯარის სარდლად. უცვლელად იქნა დატოვებული საფაშოს მანამდე არსებული ადმინისტრაციული დაყოფა. სანჯაყებს მართავდნენ დროებით მთავრობაზე დამოკიდებული სანჯაყ-ბეგები, და კომენდანტები. აწყურის, ხერთვისის და ასპინძის საჯანყ-ბეგები, რომლებმაც ომის მიმდინარეობის დროს მიატოვეს თავისი სამფლობელოები; აგრეთვე ახალციხის და ახალქალაქის გუთი-ბეგი, რომელიც ტყვედ ჩავარდა, გამოცხადებულ იქნენ კანონგარეშე და მათ ნაცვლად კომენდანტებად დანიშნეს შტაბს-ოფიცრების წარმომადგენლები. დანარჩენ: ქვაბლიანის, ფოცხოვის, ჩილდირის, აბასთუმნის, ახალციხის და ჭაჭარაქის სანჯაყებში დატოვეს ძველი სანჯაყ-ბეგები. ქართველი რენეგატი ფეოდალები განაგრძობდნენ არსებობას მემკვიდრეობითი წესით. მაგალითად, ქვაბლიანის სანჯაყ-ბეგობა ისევ ერისთავთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, ფოცხოვის – ამილახვართა გვარს, აბასთუმანი – პეპინაშვილებს, ჭაჭარაქის კი – კოპაძეებს. სანჯაყ-ბეგების დაჯილდოვება ისევ ნატურის სახით ხდებოდა.

დროებითი მთავრობა შედგებოდა განყოფილებებისაგან: აღმასრულებელი, საფინანსო და სასამართლო, რომელთა ხელმძღვანელები შედიოდნენ დროებით მმართველობაში. 1829

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს გენერალი ბებუთოვი გადაიყვანეს ახლად შექმნილ სომხეთის მხარის მმართველად, ხოლო მის ადგილზე დანიშნულ იქნა ჯერ ბარონ ოსტენსაკენი (რომელმაც მხოლოდ ერთი თვე დაჰყო), შემდეგ კი პოლკოვნიკი დრეშერნი. მან შეისწავლა დროებითი მმართველობის მოღვაწეთა საქმიანობა და აღძრა სისხლის სამართლის საქმე ბებუთოვის წინააღმდეგ.

სამცხე-ჯავახეთის მიწების ყიდვა-გაყიდვა დაკავშირებული იყო ძირითადად ქართველ მოსახლეობის მიგრაციასთან. ერთერთ წერილში პასკევიჩი იმპერატორს წერდა, რომ „ახალციხელებს არ უხარიათ რუსული იარაღის გამარჯვება. ომის დროს ვერ შევძელით მათი განდევნა და გადასახლება, თუმცა – ფელდმარშალის სიტყვით – ომის შემდეგ, როდესაც რამოდენიმე საპატივცემულო მუსულმანი გვთხოვდა თურქეთში გადასახლების და მიწის გაყიდვის თანხმობას, ეს შემთხვევა კარგად იქნა გამოყენებული“. თანხმობა მიცემული იქნა და მთავრობა – პასკევიჩის სიტყვით – შეეცადა ამავე წესით თავიდან მოეცილებინა ძირითადი მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომ ადგილებზე სასაზღვრო ზოლში ჩაესახლებინათ უფრო სანდო ხალხი. 1828 წ. 16 ნოემბერს პასკევიჩმა განუცხადა ადგილებზე დარჩენილ ბეგებს და აღებს, რომ თუ ისინი დატოვებენ სამშობლოს და თურქეთში გადასახლდებიან, მათ თავიანთი მოძრავი და უძრავი ქონების გაყიდვის უფლება მიეცემათ. სინამდვილეში მიწების გაყიდვა დიდი ხნის წინ იყო ნებადართული გენერალ ბებუთოვის მიერ, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ომი დამთავრებული არ იყო და არავინ იცოდა ზავის შემდეგ რომელი ტერიტორია ვის დარჩებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწებს ყიდულობდნენ ვაჭრები, მარკიტანტები, ძირითადად სომხები. ყიდვა-გაყიდვის პროცესი გაუბრალოებული იყო: ჯერ გამყიდველი და მყიდველი მოილაპარაკებდნენ, შემდეგ მიდიოდნენ დროებით სამმართველოში მოწმეებთან ერთად, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ გარკვეული მიწის ნაკვეთი გამყიდველს ნამდვილად ეკუთვნის, რის შედეგადაც ბებუთოვი განცხადებას ადებდა რეზოლუციას ორი სიტყვით „Совершить купчую“ და მამული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყიდულად ითვლებოდა. იყიდებოდა ყველაფერი: კარმიდამო, ბაღი, ბოსტანი, წისქვილი, მოხნული და მოუხნელი მიწები, სოფლები მოსახლეობასთან ერთად და ასევე გაუდაბურებული სოფლებიც. იყიდებოდა მთელი სამცხე და ჯავახეთი, მას ყიდდნენ ქართველი ეროვნების ფეოდალები, გამუსულმანებული ფანატიკოსები. საომარი რეჟიმის პირობებში ყველაფერი იყიდებოდა ჩალის ფასად. ამ პროცესის გაფორმება ხდებოდა სპეციალურად მოყვანილი მირზების საშუალებით, ისინი აქტების შედგენას აწარმოებდნენ ღერბიან ქაღალდზე – თურქულად, რომლის წაკითხვა არ შეეძლო არც გამყიდველს და არც მყიდველს. მას შემდეგ ხელს აწერდნენ ქართულად ბეჭდის დასმით. ბოლოს საფაშოს კანცელარია ადასტურებდა რუსულად. შემდეგ, აქტების დავთარში შეჰქონდათ შენიშვნა, ამა და ამ გაყიდვის გასაფორმებლად გადახდილია გარკვეული თანხა.როგორც შემდეგ გამოირკვა, მიწების ყიდვა-გაყიდვაში დაშვებული იქნა უამრავი უზუსტობა. ასე მაგალითად, 1828 წ. სოფ. წყრუთში ბებუთოვის უკანონო ნებართვით გაყიდული იქნა მიწის ნაკვეთი 3.000 ახჩად ვინმე ტეროგანესზე დოკუმენტის გარეშე. როგორც ცნობილი გახდა, კანცელარიას განგებ შექონდა გაუგებრობა დოკუმენტების შედგენის საქმეში. 1828 წლიდან ბეგები თავის თხოვნას მამულის გაყიდვის შესახებ წერდნენ მხოლოდ ქართულად (ასეთი მოთხოვნები არქივში მრავლადაა შემონახული), გაყიდვის აქტები კი იწერებოდა არაბული შრიფტით თურქულ ენაზე. როგორც ჩანს ასეთი პროცედურა უფრო მოხერხებული იყო დანაშაულებრივი ქმედებისათვის. პასკევიჩის ინსტრუქციის თანახმად დროებითი მმართველობის მიზანს წარმოადგენდა ესარგებლათ საომარი მდგომარეობით და რაც შეიძლება მეტი გამაჰმადიანებული ქართველი გადაესახლებინათ თურქეთში. 30-იან წლებში, როდესაც სამცხესა და ჯავახეთისაკენ მიისწრაფოდნენ ერზრუმიდან სომეხი კოლონისტები, რომელთა შორისაც იყო ბევრი ვაჭარი და აგრეთვე გრიგორიანული ეკლესიის მდიდარი მსახური, მიწის ნაკვეთებისა და მამულების გაყიდვამ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა. 1828-1830 წწ. სამცხე-ჯავახეთის მთელი მიწე-

ბის მეოთხედი გროშებად გაიყიდა, სულ რაღაც 89.606 მანეთად. ამ ციფრების უფრო კონკრეტულად წარმოდგენისათვის საკმარისია აღინიშნოს, რომ „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ“-მა ვლანგელმა 4.170 მანეთად იყიდა ჯავახეთში 21 დასახლებული და 21 დაცლილი სოფელი. ქართველი თავადაზნაურობა პროტესტს გამოთქვამდა ასეთი ქმედებების წინააღმდეგ. მათი აზრით ახალციხელ ბეგებს უფლება არ ჰქონდათ მამა-პაპური მიწების უცხოელებისთვის მიყიდვისა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართველებს ართმევენ მათ ძირძველ მიწას და მასზე უცხოელ ხალხს ასახლებენ.

მიწების გაყიდვის პროცესში დაშვებული დანაშაულებრივი ქმედების წინააღმდეგ გამოვიდა სამხედრო გუბერნატორი სტრეკალოვი, აგრეთვე დროებითი მმართველობის უფროსი პოლკოვნიკი დრეშერნი და სენატორები ქუთაისოვი და მეჩნიკოვი.

1831 წელს, როდესაც პასკევიჩი საქართველოდან გაიწვიეს, ახალმა მმართველმა როზენმა დააწესა რევიზია მიწის საკითხზე და დამნაშავენი გადასცა სასამართლოს. გამოძიება დიდხანს მიმდინარეობდა, მაგრამ დამნაშავენი არ ისჯებოდნენ. 1846 წელს ნიკოლოზ I–ის მიერ გამოცემული რესკრიპტის თანახმად საომარი მოქმედების გამო, ახალციხეში მომხდარი დანაშაულობანი ყველას ეპატია. ომის შემდეგ 1828-29 წლებში, როდესაც ახალციხის საფაშო შეუერთდა დანარჩენ საქართველოს, ადრე გაქცეული მესხები ქართლიდან და იმერეთიდან დაბრუნდნენ თავის მიწა–წყალზე. ამრიგად ახალციხის ნაწილის გათავისუფლების შემდეგ პასკევიჩთან გამოცხადნენ XVI – XVII საუკუნეებში გაქცეულ მესხ თავად – აზნაურთა მემკვიდრეები და მას წარუდგინეს ქართველ მეფეთა მიერ გაცემული სიგელები მესხეთში მათი მამულების კუთვნილების შესახებ და მოითხოვეს მათი დაბრუნება. მათ შორის იყვნენ: თავადი ციციშვილი (ფანასკერტელი), ავალიშვილი, მუსხელიშვილი, გოგორიშვილი და სხვა. ქართველ თავადებს ამ თხოვნაზე უარი ეთქვათ გასაგები მიზეზის გამო. უპატრონოდ დარჩენილ მიწებს პასკევიჩი კაზაკებისთვის ინახავდა, რომელთა ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლება მას თავიდანვე ჰქონდა გათვალისწინებული. ამიტომ იგი აპირებდა ამ მიწების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადებას. გარკვეული დროის შემდეგ აღნიშნული პროექტით კაზაკების ჩამოსახლება ვერ განხორციელდა და მათ მაგივრად ჩამოსახლებულ იქნა ერზრუმიდან და ყარსიდან 35.000 სომეხი. ივნისში 1829წ. ყარსის აღების შემდეგ პასკევიჩმა პეტერბურგში გაგზავნა გენერალ – ლეიტენანტი პოტიომკინი, რომელმაც იმპერატორს პირადად გადასცა შეტყობინება დაპყრობილ ტერიტორიაზე სომხების სასარგებლო მოქმედების შესახებ. პასკევიჩის სიტყვებით ისინი ყოველ ნაბიჯზე რუსულ ნაწილებთან თანამშრომლობენ და რუსების მიმართ ერთგულებას ავლენენ. თუ ამ ხალხს დატოვებენ თურქების ხელში, პასკევიჩის აზრით ისინი მათ დასჯიან. ამას გარდა, როგორც იგი იუწყებოდა სომეხი მოსახლეობა ნიჭიერია ვაჭრობაში და ხელოსნობაში. მათ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. გადასახლებული ძირძველი მოსახლეობის მიერ დატოვებულ მიწებზე ათასობით სომხური ოჯახი დასახლდა. პასკევიჩი წერდა, რომ პირველ ხანებში ამ ოჯახებს დახმარება ესაჭიროება, რისთვისაც იგი თხოულობდა 25 მანეთს თითო ოჯახისათვის. სამაგიეროდ მათი სახით რუსეთს საიმედო ხალხი ეყოლება. იმპერატორმა დააკმაყოფილა პასკევიჩის მოთხოვნა და სომეხი ოჯახების დასახმარებლად გამოყო მილიონი მანეთი. 1829 წელს შეიქმნა გადასახლების პროცესისთვის განსაკუთრებული კომიტეტი, სახალხო გუბერნატორის ზავილეისკის თავმჯდომარეობით. გადასახლება–ჩასახლება დაიწყო 1830 წელს ზაფხულში, მანამდე კომიტეტი დაკავებული იყო ქართველ მაჰმადიანთა გადასახლებით, მზადდებოდა ყველა პირობა უცხოელების ჩამოსასახლებლად. ცარიზმი თვლიდა, რომ ამ ღონისძიებების შედეგად კავკასიის მიწა–წყალი გათავისუფლდებოდა თურქეთის მმართველობის ყველაზე თავგამოდებულ მომხრეებისგან და მხოლოდ ამ პირობებში დამყარდებოდა აქ სიმშვიდე და წესრიგი. განა ბედის ირონია არ არის, რომ თურქეთის "თავგამოდებულ მომხრეებად" იგულისხმება ქართველი მაჰმადიანები, რომლებმაც ამ მოვლენებამდე 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლით ადრე სასტიკი ბრძოლა გაუმართეს თურქებს, ასევე ქართველ ფეოდალთა წარმომადგენლები, რომლებიც ადრე გაექცნენ თურქებს საქართველოს ცენტრალურ მხარეში და ეხლა ითხოვდნენ მშობლიურ მესხეთში დაბრუნებას.

ერზრუმიდან სომხების გადმოსახლების ერთერთი ინიციატორი იყო გენერალი ვასილ ბებუთოვი. იგი შორსმჭვრეტელურად ამზადებდა საფუძველს კოლონიზაციისთვის და პასკევიჩთან შეთანხმებით ყველა ხერხით ეხმარებოდა ადგილობრივ ბეგებს მამულების გაყიდვასა და ემიგრირებაში.

1830 წელს მაისიდან დაიწყო სომხების მასიური გადმოსახლება. ახალციხის საფაშოში ძირითადად შემოყვანილ იქნენ ერზრუმელი სომხები – 5.000 ოჯახზე მეტი. გეგმით კი გათვალისწინებული იყო 3.000 ოჯახის შემოყვანა. ამის გამო მათ ამჯერად არ ეყოთ მომზადებული სახელმწიფო მიწები. სახელმწიფო იძულებული იყო დაესახლებინათ ისინი ფეოდალ–ბეგების მიწა–წყალზე იმ პირობით, რომ შემდეგში ეს მიწები ჩათვლილიყო სახელმწიფო ქონებად. ჩამოსახლებულები იკავებდნენ სულ ცოტა ხნის წინ დატოვებულ მამულებს, სადაც სახლ–კარი ჯერჯერობით სრულიად შენახული იყო, ხოლო მიწები მოხნული. ამრიგად მეურნეობის ორგანიზაციის პრობლემა ჩამოსახლებულთათვის ძალიან გაიოლებული იყო. თუმცა ამ მიწების მფლობელობის იურიდიული საკითხების მოგვარებას დიდი დრო დასჭირდა. სომეხი პუბლიცისტი ვერმიშევი წერდა: "სომხები გადასახლდნენ თურქეთიდან ჯავახეთის მხარეში. მათ ეს ტერიტორია დაფარეს მჭიდრო მოსახლეობით. მათ შორის ქართული სოფლები მცირე ოაზისებად ჩანდნენ". ზაგურსკის სიტყვით "ქვეყანამ ისეთი იერი მიიღო, თითქოს იგი უძველესი დროიდან სომხებით ყოფილიყო დასახლებული".

ქართველებისთვის არ იყო ახალი ის, რომ სომხებისთვის მიეცათ თავშესაფარი თავის მიწა – წყალზე. სამცხე – ჯავახეთში მომხდარი პროცესები მათ ადიქვეს როგორც დროებითი მოვლენა. ქართველები არასოდეს ფიქრობდნენ დაეთმოთ თავისი ძირძველი ტერიტორია სომხებისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც წერდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი: "თავისთავად იგულისხმებოდა, რომ როგორც კი დადგებოდა შესაფერისი პოლიტიკური პირობები, საქართველოში შეფარებული სომხები მაშინვე გადავიდოდნენ მშობლიურ მხარეში მამების კერიის ასაღორძინებლად. სამაგიეროდ დაბრუნდებოდნენ ამ მიწა-წყლის ნამდვილი პატრონები – ქართველი მაჰმადიანები." ეს რომ ასე მომხდარიყო სამართალი იზეიმებდა და ორივე მხარე აღმოჩნდებოდა თავის ძირძველ მიწა-წყალზე. თუმცა ეს ასე არ მოხდა...

1878 წელს, როდესაც ბერლინის ტრაქტატის ძალით ყარსის ვილაიეთი შევიდა რუსეთის შემადგენლობაში, იქ მაცხოვრებელი ქართველი მაჰმადიანები, რომლებიც ჯავახეთიდან იყვნენ გადმოსახლებულნი, კიდევ ერთხელ გადაასახლეს ამჯერად თურქეთის სიღრმეში, ხოლო სომხებს უარი უთხრეს ჯავახეთიდან უკან დაბრუნებაზე. ცარიზმმა ანგარიში არ გაუწია არც ქართველების და არც სომხების სურვილს. მან ყარსის დაცლილ მხარეში რუსი სექტანტები და ჯარგამოვლილი „სალდათები" ჩაასახლა. შექმნილ მდგომარეობას უფრო ამძიმებდა ის გარემოება, რომ ქართველ მაჰმადიანებს ნაციონალური იმპულსი ამ დროს ძალიან დასუსტებული ჰქონდათ. მიიღეს რა ახალი რელიგია – მაჰმადიანობა, ადგილობრივმა ქართველებმა დაკარგეს თავისი ნაციონალური სიამაყე. ამის გამო მათი პოზიცია, კერძოდ მათი ფსიქოლოგიური განწყობილება საკუთარი მიწა-წყლის დაკარგვის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვნად დაქვეითებულიყო. ამ სისუსტეს მოწინააღმდეგე მხარე დიდი ხელოვნებით იყენებდა. უპირველეს ყოვლისა იგი ძირძველ ქართველებს უმტკიცებდა და არწმუნებდა, რომ ისინი მართალია ქართველებად და ამ მიწა-წყლის კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებიან, მაგრამ რადგან მაჰმადიანები არიან, მათთვის მთავარია ცხოვრობდნენ ერთიანი რელიგიის მქონე მოსახლეობასთან ერთად.

მეცნიერმა ზაგურსკიმ კარგად შენიშნა გამაჰმადიანებული ქართველის ფსიქოლოგიის თავისებურებანი. იგი წერს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ „ქართველებს საერთოდ არ უყვართ გამოკითხვა მათი წარმოშობის შესახებ და, უმეტესად, მინიშნება იმაზე, რომ მათი წინაპრები ოდესღაც მართლმადიდებლები იყვნენ. რათა თავი დააღწიონ ამ შეკითხვებს – რაშიც მე თვითონ დავრწმუნდი – თავს უჩვენებენ ქართულის არმცოდნედ“. თუმცა, როგორც ეს მრავალრიცხოვანი მემუარული ხასიათის დოკუმენტებიდან ირკვევა, ბევრი მაჰმადიანი-მესხი ანდერძში ითხოვს, რომ ისინი დაასაფლაონ ქრისტიანულ ეკლესიასთან ან ქრისტიანულ სასაფლაოზე წინაპრებთან ერთად. ქართველ-მაჰმადიანთა დიდ ნაწილში ჯერ კიდევ ცოცხლობდა ქრისტიანული სული. დიუბუას დაკვირვების თანახმად, გასული საუკუნის 30-იან წლებში: „მესხეთში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს თან სდევდათ დიდი შიში თურქების ხელახლა დაბრუნებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აუცილებლად დაუბრუნდებოდნენ წინაპრების რელიგიას“. რაც შეეხება მათ ქრისტიანულ ზნე-ჩვეულებებს, ამ დროისთვის ისინი თითქმის სრულიად შენარჩუნებული ჰქონდათ. ისინი ქართველებთან ერთად თანაბრად მარხულობდნენ, ესწრებოდნენ ქრისტიანულ ცერემონიებს. ჩვეულებრივად ლოცულობდნენ ვარძიაში, ქართული წესისამებრ ასრულებდნენ ქორწინების რიტუალებს, უმკაცრესად იცავდნენ ქართულ ტრადიციას ნათესავებთან ქორწინების აკრძალვის შესახებ. დიუბუა იგონებდა, რომ 1832 წ. მოგზაურობის დროს გზად მოხვდა სოფ. გაბიეთში. აქ ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. ყველა ლაპარაკობდა ქართულად, თუმცა თურქულიც ესმოდათ. მისი შეხედულებით ამ ხალხს ისეთივე იერი ჰქონდათ, როგორც იმერლებს და ქართლელებს. დიუბუა და მისი თანამგზავრები მეტად გულთბილად მიუღიათ, ცეცხლთან გაუთბიათ, გამასპინძლებიან და ღამე გაუთევებიათ. იგი გაოცებული აღნიშნავდა, რომ მიუხედავად თურქების ბატონობისა, სოფ. ახალშენზე გავლისას იგი შეხვედრია გამაჰმადიანებულ ქართულად მოლაპარაკე მოსახლეობას. მისი დაკვირვებით ახალციხელი „თურქების“ ნაწილი ქართველებია, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ ომაროვის სექტის მაჰმადიანობა, მაგრამ ლაპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობდნენ ქართულად. იგი დასძენს, რომ ბევრმა მათგანმა შეინარჩუნა ქართული გვარები, ხოლო ბევრი მათგანი უბრუნდება ქრისტიანობას. როგორც ჩანს, დიუბუა კარგად იყო გარკვეული იმ დროის მესხეთის ცხოვრების დეტალებში. „ახალციხის საფაშოში – წერდა იმ დროინდელი სტატისტიკოსი – მესხი გლეხები ყველა ქართველები იყვნენ, თუმცა გამაჰმადიანებულნი, ისინი გულთბილნი, მომფერებელნი, დამოკიდებულებაში გულკეთილნი და სტუმართმოყვარენი არიან. რელიგიის შეცვლის მიუხედავად მათ შემოინახეს და წმინდად იცავენ თავის წინაპართა ზნეჩვეულებებს“. ოფიციალურ დოკუმენტებში ქართველი მაჰმადიანები იხსენიებიან როგორც “თათრები” ან “თურქები”. “ვინ დაარქვა მათ ეს სახელები”? გაოცებული კითხულობს ზაგურსკი, რომელიც 30-იან წლებში მესხეთის მოსახლეობის სიებს ეცნობოდა.

რადგან ახალციხის მხარის შემოერთებულ ნაწილში ხელისუფლებამ ძალაში დატოვა "შარიათი" და მუსულმანური ეკლესია, ღვთისმსახურებს იწვევდნენ ანატოლიიდან, რამაც მხოლოდ გამაჰმადიანების კი არა, ამ მხარის გათურქების პროცესიც გააღრმავა.

რუსული ჯარის მიერ სამცხე-ჯავახეთის დაკავების პერიოდში იქაური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სულ ახალი გამაჰმადიანებული იყო. მოსალოდნელი იყო, რომ რუსული ორგანიზაცია შეეცდებოდა მოსახლეობაში წინაპართა რელიგიის აღდგენას, თუმცა ეს ასე არ მოხდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომელსაც თითქმის თოთხმეტსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა – გაუქმებულ იქნა (იგი აღდგა მხოლოდ 1917 წელს). რუსული ეკლესია არც თუ ისე იყო დაინტერესებული მესხეთის მოსახლეობის ბედით, პირიქით, მომხრე იყო, რომ ყველა მაჰმადიან მესხს რაც შეიძლება მალე დაეტოვებინა თავისი მშობლიური მიწა-წყალი და გადასახლებულიყო თურქეთში. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ადმინისტრაციამ დიდი თანამშრომლობა და დახმარება გაუწია თურქეთიდან ჩამოსულ მოლებსა და პოლიტიკურ ემისრებს მოსახლეობის თურ-

ქიზაციისა და ისლამში მათი ჩაღრმავების საქმეში. ანატოლიიდან ჩამოსული მოლები მშობლიურ ქართულ ენაზე ლაპარაკსაც კი კრძალავდნენ.

1840 წ. ახალციხის მხარეში მიწათმფლობელობის საკითხის შესწავლისა და წესრიგში მოყვანის მიზნით პეტერბურგიდან მოწვეულ იქნა „სტატსკი სოვეტნიკი" ბულგაკოვი. მას ეახლნენ: სანჯაყ-ბეგები ქვაბლიანიდან, ფოცხოვიდან, აბასთუმნიდან და ახალქალაქიდან. ისინი შთამომავლობით ქართველ ერისთავთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. მათ განუცხადეს ბულგაკოვს, რომ მზად არიან, დაუბრუნდნენ თავისი წინაპრების ქრისტიანულ რელიგიას იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მათ მისცემს იმ უფლებებს და პრივილეგიებს, რომლითაც სარგებლობდნენ საქართველოს დანარჩენ ნაწილში. ეს წინადადება ბულგაკოვმა პეტერბურგს აცნობა, დედაქალაქიდან კი განუმარტეს, რომ მისი მთავარი საზრუნავი არის სახელმწიფო მიწების რიცხობრივი ზრდა და არა სხვა რამ.

თურქული ენის პოზიციები მესხეთში უსაშველოდ გაძლიერდა. ამას ხელს უწყობდა ამ მხარეში მეფის ადმინისტრაციის მიერ თურქეთიდან ჩამოსახლებული ყარაფაფახელი, ქურთი და სომეხი მოსახლეობა, რომელთა ერთმანეთში საურთიერთობო ენა მხოლოდ თურქული იყო. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ზაგურსკი წერდა: „მე მარწმუნებდნენ, რომ ადგილობრივი ახალგაზრდობა უკვე აღარ სწავლობს ქართულად". რა თქმა უნდა შექმნილი ატმოსფერო თავის დაღს ასვამდა ამ პერიოდის ქართველ ახალგაზრდებს. მათ ხერთვისში პირადად შეხვდა მეცნიერი ზაგურსკი, რომელიც მათ შესახებ წერდა: "ეს ახალგაზრდები თავისი ფიზიანომიით და გვარებით წმინდა წყლის ქართველები იყვნენ, მაგრამ სრულიად არ იცოდნენ მშობლიური ენა". უნდა აღინიშნოს, რომ სამცხის და ჯავახეთის კულტურული დონე XVIII - XIX საუკუნეებში მნიშვნელოვნად დაბალი იყო. პარადოქსული იყო ის, რომ მესხი ბავშვების სასწავლებლად ხელისუფლება ანატოლიიდან იწვევდა თურქ სამღვდელოებას, რომელიც თავის საქმიანობას დიდი წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატებით ასრულებდა. ბუნებრივია, ამ სიტუაციაში ქართული ენა სრულიად კარგავდა თავის ფუნქციას. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალციხის მხარეში რუსული ადმინისტრაცია საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ძირითადად ნიშნავდა არა ქართველ მაჰმადიანებს, არამედ აზერბაიჯანლებს, ოსებს, ინგუშებს და სხვ., რომლებსაც ადგილობრივ მოსახლეობასთან რელიგიის გარდა არავითარი საერთო არ ჰქონდათ. ადმინისტრაციის მხრიდან ზურგშექცეულმა მესხმა ბეგებმა თავიანთი შვილების განათლებისთვის ბაქოს, სტამბოლს და ერზრუმს მიმართეს. ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისში მესხ ქართველ-მაჰმადიანთაგან აღიზარდნენ ფანატიკოს პანთურქისტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომლებმაც თავისი მიზნები გამოამჟღავნეს 1917 წ. რევოლუციის დროს. ისარგებლეს რა ანარქიით, დეკემბერს აბასთუმანში მოიწვიეს ადგილობრივ მუსულმანთა ყრილობა, რომლის დღის წესრიგში შედიოდა სამცხის, ჯავახეთის, არტაანის, შავშეთის, აჭარის და ყარსის მუსულმანთა გაერთიანება (როგორც ქართველების, ისე არაქართველების) და ცალკე მუსულმანური სახელმწიფოს დაარსება. ამ მოძრაობის ლიდერებად ითვლებოდნენ მესხი ფეოდალების ვაჟიშვილები, რომელთა შორის აქტიურობით გამოირჩეოდა ომარფაიყ ყიფიანი – აწყურის ბეგი, რომელმაც განათლება სტამბოლში მიიღო და სტამბოლიდან დაბრუნების შემდეგ ახალგაზრდა თურქთა პარტიას მიეკედლა. პანთურქისტული პოლიტიკის გასატარებლად იგი აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. თბილისში იგი სცემდა ჟურნალს "მოლა ნასრედინ"-ს. პანთურქისტული პოლიტიკის გატარებაში მას მხარში ედგა მისი ნათესავი ახმედ პეპინოვი (პეპინაშვილი), ზია-ბეგ აბაშიძე სოფ. თოკიდან. მასაც განათლება სტამბოლში ჰქონდა მიღებული. ამ ჯგუფში თავისი ავტორიტეტით გამოირჩეოდა სერვერ-ბეგ ათაბაგ ქობლიანელი – გვარად ჯაყელი, უძველესი საგვარეულოს გადაგვარებული შთამომავალი, მასაც განათლება მიღებია ჯერ სტამბოლში, ხოლო შემდეგ ევროპაში. ევროპაში ჰქონდა მიღებული განათლება აგრეთვე ალი-ბეგ ავალიშვილსაც სოფ. ოშორი-

დან. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ რენეგატების ამ ჯგუფმა შექმნა ე.წ. "სამხრეთ ამიერკავკასიის მუსულმანთა ხელისუფლება" - სერვერ-ბეგის თავმჯდომარეობით, რომელმაც საქართველოს ხელისუფლებს წარუდგინა ნოტა საზღვრის დაარსების შესახებ მათსა და საქართველოს შორის, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ ადრიანოპოლის ზავამდე რუსეთსა და თურქეთის სამფლობელოებს შორის. ბოლოს და ბოლოს ამ ე.წ. ხელისუფლებამ თურქეთის ხელისუფლების მითითებით 1918-1919 წლებში მოაწყო მესხეთის რაიონებში მძიმე ექსცესები, რომელიც გამოიხატებოდა ქრისტიან და მუსულმან ქართველთა სისხლისმღვრელ შეტაკებებში. ყველა ეს მოქმედება სინამდვილეში სხვა არა იყო რა, თუ არა რენეგატ ბეგების შეთქმულება საკუთარი ხალხის და ქვეყნის წინააღმდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერთის მხრივ თურქეთის ხელისუფლება, ხოლო მეორეს მხრივ თეთრგვარდიელები, რომელთა რიგები შეიარაღებულნი იყვნენ ჯერ კიდევ ამიერკავკასიაში ყოფნის დროს მეფის არმიის არსენალიდან.

უფრო სამწუხარო აღმოჩნდა ის გარემოება, რომ ქართული ეროვნების მესხეთის მოსახლეობის და ქართველი მაჰმადიანების ნაციონალურ იარებს საქართველოში განკურნება არ ეწერა არც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ქართველ-მუსულმან ბავშვებს ისევ არაქართული სკოლები გაუხსნეს, სადაც მათ ისევ ჯიუტად ჩასჩიჩინებდნენ, რომ "მაჰმადიანები ქართველები არ არიან"... არქივების თაროებზე დღესაც მრავლად ინახება თხოვნები და კოლექტიური განცხადებები მაღალი ინსტანციების მიმართ, ოშორელ, გიორგიწმინდელ, მუგარელთა და სხვა მუსულმანთა მოსახლეობის სახელით მათი შვილებისთვის ქართული სკოლების გახსნის თაობაზე. 30-იან წლებში განათლების სახალხო კომისარიატის სახელზე გაგზავნილი ერთ-ერთი განცხადების რეზოლუციაში იკითხება: "თქვენ თათრები ხართ და უნდა ისწავლოთ თქვენ მშობლიურ ენაზე". სამწუხაროდ ასეთი იყო მაღალ სავარძლებში მსხდომ ინტერნაციონალ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტთა ცნობიერების დონე ისტორიის, სოციოლოგიის და მორალის საკითხებში. ასე ხელოვნურად აბუნდოვნებდნენ ისედაც გაუნათლებელი გლეხობის აზროვნებას, სპობდნენ რა ფესვებში მათ ნაციონალურ თვითშეგნებას. ეს არ იყო ერთეული შემთხვევა, ეს იყო მესხ ქართველ მაჰმადიანთა საკუთარი ეროვნებისგან გამიჯვნის თანმიმდევრული პოლიტიკა, მათი განწირვა დეგრადაციისა და სიბნელისთვის. ასეთსავე პოლიტიკას ახორციელებდნენ სხვადასხვა რესპუბლიკებიდან მესხეთში საპასუხისმგებლო პოსტებზე სამუშაოდ გამოგზავნილი შემთხვევითი პიროვნებები. ისინი წარმოადგენდნენ მხოლოდ რელიგიური ნიშნის მიხედვით გამოგზავნილ ინდიფერენტულ კარიერისტებს და ხალხის მშობლიურ ისტორიაში უხეშად ჩარეულ უცხო ძალას. მრავალი წლების განმავლობაში ამ ხელოვნურად შექმნილმა მეტად დაძაბულმა ატმოსფერომ, თავიდან დააჩლუნგა მესხ ქართველ მაჰმადიანთა ნაციონალური თვითშეგნება, რომლის შესახებაც მათ არასოდეს არავინ ეკითხებოდა და შემდეგ კი აიძულა, დაევიწყებინათ ვინ არიან და რანი არიან? რომელ ეროვნებას წარმოადგენენ და ფიზიკურად რომელ ტიპს განეკუთვნებიან? რომელი დროიდან ცხოვრობენ ისინი ამ მიწაზე და რა დამოკიდებულება აქვთ მათთან, ვინც ამ მიწაზე ოდესღაც შექმნა საფარა, ზარზმა ან წუნდა, ააშენა აწყურის, ხერთვისის ან თმოგვის ციხეები. დიდებული წინაპრების ეს მემკვიდრენი ნაციონალური გულცივობის დაჩლუნგებულმა ატმოსფერ-



სვეტიცხოველი.
დასავლეთის ფასადის რელიეფი

ომ ჰაერში გამოკიდებულ დენაციონალიზებულ მასებ აქ-ცია, რომელიც ეთნიკურ ცნობიერების შესახებ დასმულ კითხვებზე ვერაფერს პასუხობდა არაფრისმთქმელი სიტყვების გარდა - "იერლი მუსულმან"-(ადგილობრივი მუსულ-მანი). ამ ცნობიერებადაკარგულ მასას სიტყვა "ქართველი" უკვე აღარ აღუძრავდა სიამაყეს, იგი სულ მეტად და მეტად სინონიმი ხდებოდა სიტყვების-"გიაური", "ურწმუნო".

ერთადერთი, რასაც შეეძლო ეშველა ქართველი მაჰმა-დიანისათვის ამ ტრაგიკულ მდგომარეობაში, იყო დანარჩე-ნი ერის ძმური და მშობლიური ხრუნვა, გულითადი სითბო და სიყვარული, რაც მას წარსულისკენ მიხედვის საშუალე-ბას მისცემდა, ხოლო შემდეგ ფრთხილად, მოზომილი ნაბიჯით მომავალს მიუახლოვებდა.

ომის წინა პერიოდში, როგორც ჩანს აღმოჩნდნენ პიროვნებები, რომლებიც დააფიქრა მესხ–მაჰმადიანთა ტრა-გედიამ. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე გამოჩნდა საპირისპირო ძალა, რომელმაც არა თუ უარყო ქართული ენის სწავლება, არამედ აკრძალა მესხ–მაჰმადიანთა საქართველოში ცხოვრება. ამ ძალამ 1944 წელს სრულიად უდანაშაულო ხალხი მშობლიურ მიწა-წყლიდან „თურქის“ მარკით შუა აზიაში გაასახლა. აქ ისინი მრავალი წლის მანძილზე მკაცრ კომენდატური რეჟიმის ქვეშ იმყოფებოდ-ნენ. ეს ახალი აქცია გათვალისწინებული იყო ქართველ-მაჰმადიანთა სამშობლოდან საბოლოოდ მოწყვეტისათვის.

1941 წ.-ის შემდეგ მოსახლეობის აღწერის დოკუმენ-ტური მასალების მიხედვით მესხი ქართველი-მაჰმადიანები რეგისტრირებულები და პასპორტიზირებულები არიან როგორც „თურქები“, „აზერბაიჯანელები“, „მუსულმანები“, „კავკასიელები“, „უზბეკები“ და ა.შ. მხოლოდ არა როგორც „ქართველები.“ მაგალითად ოთხ ძმა ზაუტაძეებს მიკუთვნებ-ული აქვთ ოთხი განსხვავებული ეროვნება. ერთს – “აზერ-ბაიჯანელი”, მეორეს – “კავკასიელი”, მესამეს – “თურქი”, ხოლო მეოთხეს – “უზბეკი”.

მიუხედავად ასეთი უსამართლობისა, სიძულვილმა ყვე-ლაფერი ვერ დაფარა. როგორც ჩანს ძნელბედობის ხანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიც კი ისტორია გზადაგზა თავს ახსენებს საზოგადოებას და მისი ძლევამოსილი თვალი არღვევს დავიწყების სქელ ბურუსს და სვამს უამრავ კითხვის ნიშანს, რომელსაც მომავალმა სასიკეთო პასუხები უნდა გასცეს.

ჩვენ ხელთ გვაქვს ახალციხის რაიონის, სოფ. გიორგიწმინდიდან უზბეკეთში გადასახლებულ ნასარიძის წერილი, რომელსაც იგი წერს ჯარში მყოფ უმცროს ძმას: "ჩემო ძმაო ბახში! მე შენ გწერ ქართულად, რადგან ვიცი შენთან ერთად ქართველი ახალგაზრდები მუშაობენ. იცოდე, რომ ქართველი ჩვენი ფესვია. როგორც ხის ტოტს არ შეუძლია სიცოცხლე უფესვოდ, ისე ჩვენც არ შეგვიძლია ვიარსებოთ საქართველოს გარეშე. ეგ ქართველი ბიჭები ჩვენი სისხლი და ჩვენი ხის ტოტებია. გახსოვდეთ ჩვენი ფესვი – საქართველოა. ეს იცოდე შენ და იცოდნენ სხვებმაც". აი! ერთობლივი ისტორიის და ერთიანი სისხლის კივილი!

სსრ კავშირის სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მესხ ჩახო ჩიტაძეს ახალციხის რ-ის სოფ. ვალეში დაბრუნების მაგივრად, მოუხდა უზბეკეთის სსრ სოფ. კრასნოგვარდეისკში "დაბრუნება". აქ მას დაავალეს ახალი საშუალო სკოლის გახსნის ორგანიზება. დიდი ძალისხმევა დაჭირდა მას, მიეღწია ამ სკოლისთვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭება. ესეც სისხლის ყივილია.

გაიარა ხანმა და ჩრდილოეთ კავკასიაში ჩასახლებულმა ხალილ გოზალიშვილმა (უმაროვმა) დაწერა ყველაზე გატანჯული მხარის – მესხეთის ისტორია და თავისი მოკრძალებული სახსრებით ეგზემპლიარების დიდი ნაწილი გაავრცელა ქართველ მაჰმადიანთა შორის.

საინტერესო მემუარებია დაწერილი ახალი მოძრაობის "ქართველ მაჰმადიანთა საქართველოში დაბრუნების" ერთერთი ხელმძღვანელის ლატიფშა ბარათაშვილის მიერ, სადაც იგი აღწერს 1913 წ-დან 1980 წ-მდე ქართველ-მაჰმადიანთა ცხოვრების მრავალ ეპიზოდს. აქ საუბარია არა მარტო სამცხე-ჯავახეთზე, არამედ კოლაზე, არტაანზე და შავშეთზე. ავტორი ცოცხალ სურათებს აღწერს იქაური ქართველების ცხოვრების შესახებ. შეუძლებელია აღელვების გარეშე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიკითხო წიგნის ის გვერდები, სადაც აღწერილია 1944 წ. უღმერთო გადასახლება, საიდანაც დღესაც ისმის ჩუმი კვნესა სამშობლოდან მოგლეჯილ-განდევნილი ხალხისა.

1944 წ. სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული ჭეშმარიტი ქართველები, დღევანდელი რეალური მდგომარეობის მიხედვით კი დენაციონალიზირებული მასა – მესხი ქართველი მაჰმადიანები შეიძლება დღესაც დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას, აღიდგინონ საკუთარი სახე და ნაციონალური ღირსება. ეს კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ნაციონალური ერთიანობის გააზრებული ცნობიერების საფუძველზე. ათეულ კილომეტრიან საყაროში გაბნეული ამ ხალხის შეგნებამდე უნდა მივიდეს ინფორმაცია მათი ისტორიის შესახებ. მათ უნდა გააცნობიერონ ვინ არიან ისინი. ყველა ადამიანს აქვს უფლება თავის ისტორიაზე; მითუმეტეს იმ თაობებს, რომლებიც ხელოვნურად მოწყვეტილნი იყვნენ საუკუნეების მანძილზე საკუთარ სამშობლოს.

მესხ ქართველ მაჰმადიანთა ბედი დამოკიდებულია ჩვენი მრავალტანჯული მიწის მკვიდრთა აზროვნებასა და სიბრძნეზე.



ჩვენ გვჯერა, რომ დღევანდელ თავისუფლებისა და დემოკრატიის ეპოქაში რუსთაველის შთამომავლები შეძლებენ სწორად გაარკვიონ და გაანალიზონ საკუთარი ისტორია, გადალახონ ყველა სიძნელე, დაუბრუნონ სამშობლოს მოწყვეტილი შვილები და შეუდგნენ დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს შენებას.


სამცხე-საათაბაგო
ვახუშტი ბაგრატიონის
მიხედვით
ბირობითი ნიშნები:
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის საზღვარი
საქართველო-სომხეთ-თურქეთის თანამედროვე საზღვარი
ადასახლებული პუნქტები, მცდელ-სიო-მონასტრები
ბორჯომი
ბაკურიანი
ბაზალეთი
ბანა
ბახმარა
ბახიანი
ბარხალი
ბანასკერტი
ბაისაკარი
ბალა
ბოგდანოვკა
ბოგანი
ბოგა
ბოგა
ბოგ
ბ
ბ
ბ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ლომსაძე

მესხები
და
მესხეთი

ყდის კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი
კახა რევაზიშვილისა

დაკაბადონდა გამომცემლობა „კავკასიურ სახლში“

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში

შეკვეთა №1093
ტ. 2000

ქ-26.789.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი **შოთა ლომსაძე** დაიბადა საქართველოს ძირძველ კუთხეში — მესხეთში, ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხაში 1925 წელს. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, საიდანაც გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. უკან დაბრუნების შემდეგ სწავლა გააგრძელა და ასპირანტურის დამთავრებისთანავე შეუდგა მეცნიერულ მოღვაწეობას. მისი კვლევის საგანია სამცხე-ჯავახეთის ისტორია. ამ სფეროში იგი ფუნდამენტური ნაშრომების ავტორია. აქვს აგრეთვე საინტერესო და ღრმა გამოკვლევები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე, დიდ ქართველ მამულიშვილებზე. ამ გამოკვლევებს შორის გამოირჩევა დიდტანიანი მონოგრაფიები: „სამცხე-ჯავახეთი", „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი", „გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან", „მესხები" და სხვ.

შოთა ლომსაძე არის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი. მუშაობს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში მთავარ სპეციალისტად

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი პოეტური მოღვაწეობა. არის შესანიშნავი, ძარღვიანი ქართულით დაწერილი ლექსების რამდენიმე კრებულის ავტორი. იგი მწერალთა კავშირის წევრია.